პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი
შაბათი
3 მარტი
№ 53 (17398)
ფასი 2 კაპ.

საჭიროა არა მარტო დემოკრატიის ტიპის წარმომადგენლობა, არამედ ქვევიდან, თვითონ მასების მიერ, მთელი სახელმწიფო მართვა-გამგეობის აგება, ცხოვრების ყოველ ნაბიჯში მათი ქმედითი მონაწილეობა, მათი აქტიური როლი მართვა-გამგეობაში.

ვ. ი. ლენინი.

საბჭოთა ადამიანების ბედნიერებისათვის

ამომრჩეველთა შეხვედრა ლ. ი. ბრეჟნევთან



სურათზე: მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა შეხვედრა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევთან.

საქდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

ჩვენი სამშობლო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს ეგებება როგორც დიდ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს. თანამიმდევრულად ხორციელდება სკკპ XXV ყრილობის მიერ მიღებული დიდებული სოციალურ-ეკონომიკური პროგრამა, ხორცს ისხამს სსრ კავშირის კონსტიტუციის დებულებანი. კომუნისტური მშენებლობის წარმატებანი მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის გმირული მეცადინეობის შედეგია. ამ მიღწევებში ჩაქსოვილია ყველა საბჭოთა ადამიანის გონება და შრომა, ვაჟკაცობა და თავდადება, ცოდნა და გამოცდილება.

ქვეყნის მშრომელთა შემოქმედებითი ძალების ახალი მოზღვავება, პოლიტიკური და შრომითი აქტიურობა გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვამ სსრ კავშირის ყველა ამომრჩევლისადმი, ყველა მოქალაქისადმი. მილიონობით საბჭოთა ადამიანის გული, მათი აზრები და მიღწევები შერწყმულია მშობლიურ პარტიასთან, რომელიც განუყოფელია ხალხისაგან, არსებობს ხალხისათვის და ერთგულად ემსახურება მას. ისინი ერთსულოვნად იწონებენ და მხურვალედ უჭერენ მხარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძნულ საშინაო და საგარეო პოლიტიკას, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მრავალმხრივ მიზანსწრაფულ საქმიანობას. პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა ახალი ძალით ცხადყო ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნების საარჩევნო კამპანიამ.

2 მარტს მოსკოვის კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიმართა კავშირის საბჭოს არჩევნების ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრება, რომლის მონაწილენი შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს.

კრების მონაწილენი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, ი. ვ. ანდროპოვს, ვ. ვ. გრიშინს, ა. ა. გრომიკოს, ა. პ. კირილენკოს, ა. ნ. კოსიგინს, ა. ი. პელშეს, მ. ა. სუსლოვს, დ. თ. უსტინოვს, კ. უ. ჩერნენკოს, ვ. ნ. დემიჩევს, ვ. ვ. კუზნეცოვს, ბ. ნ. პონომარიოვს, მ. ს. სოლომენცევს, ნ. ა. ტიხონოვს, ი. ვ. კაპიტონოვს, ვ. ი. დოლგიხს, მ. ვ. ზიმიანინს, კ. ვ. რუსაკოვს, მ. ს. გორბაჩოვს.

პრეზიდიუმში აგრეთვე არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეთა მოადგილეები, წარმოების მოწინავენი, მოსკოვის პარტიული, საბჭოთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, დედაქალაქის ბაუმანის, კალინინისა და სოკოლნიკის რაიონების წარმომადგენლები.

წინასაარჩევნო კრება გახსნა სკკპ ბაუმანის რაიკომის პირველმა მდივანმა ს. ა. კუპრეევმა. დღეს ბაუმანის საარჩევნო ოლქის მშრომელებისათვის, ყველა მოსკოველისათვის, — თქვა მან, — დიდი, შთამბეჭდავი და სასიხარულო მოვლენაა: ვხვდებით ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატს — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს.

მართლაც რომ მთელმა საბჭოთა ხალხმა დაასახელა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ლ. ი. ბრეჟნევი. ეს არის პარტიისა და ხალხის წინაშე ამხანაგ ბრეჟნევის უდიდესი დამსახურების, კომუნიზმისა და მშვიდობისათვის, ჩვენი ქვეყნის შემდგომი ყოველმხრივი აყვავებისათვის მისი დაუცხრომელი მოღვაწეობის მაღალი შეფასება.

ყველა ამომრჩევლის სახელით ორატორმა გულწრფელი, გულითადი და დიდი მადლობა გადაუხადა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს იმისათვის, რომ დათანხმდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად კვლავ იყაროს კენჭი დედაქალაქის ბაუმანის საარჩევნო ოლქში.

წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობაში, თქვა შემდეგ ორატორმა, კვლავ მთელი ძალით გამოვლინდა, რომ მშრომელები მჭიდროდ არიან შეკავშირებული პარტიის გარშემო, რომ მთელი ხალხი იწონებს და უსაზღვროდ უჭერს მხარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის — საბჭოთა ხალხის ერთგული შვილის, უდრეკი მარქსისტ-ლენინელის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის პრაქტიკულ საქმიანობას.

უკვე მრავალი წელია ყველა მთავარი მოვლენა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, საბჭოთა ხალხის ყველა მიღწევა განუყრელად არის დაკავშირებული ლეონიდ ილიას ძის მჩქეფარე ნაყოფიერ მოღვაწეობასთან. ფასდაუდებელია მისი წვლილი კომუნისტური მშენებლობის თეორიისა და პრაქტიკის შემოქმედებით განვითარებაში, პარტიის მიერ დასახული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების გეგმების რეალიზაციაში.

ლეონიდ ილიას ძეს აქვს შესანიშნავი უნარი განჭვრიტოს ისტორიული განვითარების მიმდინარეობა, ღრმად გააანალიზოს ჩვენი ეპოქის უმნიშვნელოვანესი მოვლენები, გამოიჩინოს მეცნიერულ-ნოვატორული მიდგომა პარტიისა და ხალხის რევოლუციურ-გარდამქმნელ საქმიანობასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტისადმი. დასკვნები და მითითებები, რომლებსაც მისი შრომები და გამოსვლები შეიცავს, პარტიას, ყველა მშრომელს აიარაღებს კომუნიზმისათვის ჩვენი ბრძოლის პერსპექტივებისა და ამოცანების მკაფიო გაგებით.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი თანამიმდევრულად, უდიდესი ენერგიითა და შორსმჭვრეტელობით მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის საქმიანობას, რომლის მიზანია მშვიდობიანი პირობების უზრუნველყოფა საბჭოთა ადამიანების აღმშენებლობითი შრომისათვის, საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებისათვის.

ფასდაუდებელია ლ. ი. ბრეჟნევის უდიდესი პირადი წვლილი ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილებისათვის, ფართო საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისათვის ბრძოლაში, სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოთა ურთიერთობაში საერთაშორისო დაძაბულობის კვანძების გახსნის საქმეში და საერთაშორისო ურთიერთობის კლიმატის ძირეულ გაჯანსაღებაში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა შეხვედრებსა და მოლაპარაკებას, რომლებიც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა გამართა სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეებთან. ყველა კონტინენტის ხალხის უფართოესი მასები საბჭოთა კავშირის მშვიდობიან ინიციატივებს ლ. ი. ბრეჟნევის სახელს უკავშირებენ.

ორატორმა შემდეგ აღნიშნა, რომ მშვიდობის საქმისათვის დიდად საშიშია პეკინის ახლანდელი მმართველების აგრესიული ავანტიურისტული პოლიტიკა. საბჭოთა ხალხის, მთელი საერთაშორისო საზოგადოებრიობის გულისწყრომა და აღშფოთება გამოიწვია ჩინეთის ჯარების თავხედურმა თავდასხმამ სოციალისტურ ვიეტნამზე. მოსკოველი მშრომელები მთლიანად მხარს უჭერენ საბჭოთა მთავრობის განცხადებას, გადაჭრით მოითხოვენ დაუყოვნებლივ მოეღოს ბოლო სამარცხვინო აგრესიას, გაიყვანოს ჩინეთმა ჯარები ვიეტნამის ტერიტორიიდან.

საბჭოთა კავშირის ლენინური საგარეო პოლიტიკა, რომელიც სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან მჭიდრო ერთიანობით ხორციელდება და რომელსაც წარმართავს სკკპ ცენტრალური კომიტეტი ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით, ისახავს დიად მიზანს — დაიცვას კაცობრიობა იმპერიალიზმის საშიშროებისა და უბედურებისაგან, დაიცვას ჩვენი მიწა-წყალი და გადასცეს იგი ჩვენს შთამომავლობას მთელი თავისი სიმდიდრითა და სილამაზით.

მიმართა რა ლეონიდ ილიას ძეს, ორატორმა შემდეგ თქვა: პარტიამ, ხალხმა, ისტორიამ კოლოსალური პასუხისმგებლობა დაგაკისრეს თქვენ ჩვენი სახელმწიფოს საქმეებისათვის, მსოფლიოს ბედისა და სოციალური პროგრესისათვის და თქვენ დიდი სიბრძნითა და ურყევი მამაცობით ასრულებთ დიდი ლენინის საქმის ერთგული განმგრძობის ამ მაღალ მისიას. ბაუმანის ოლქის ამომრჩევლები, მოსკოველები, ყველა საბჭოთა ადამიანი უდიდეს მადლობას გიძღვნიან ამისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინა არჩევნების შემდეგ გაწვლილი პერიოდი მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენებით იყო აღსავსე. ს. ა. კუპრეევმა ილაპარაკა ამ მოვლენებზე და ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა ადამიანების პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის აღმავლობის ახალი მძლავრი იმპულსი გახდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებანი, ამ პლენუმებზე ლ. ი. ბრეჟნევის საპროგრამო გამოსვლები. დიდი ენთუზიაზმით შეხვდნენ მშრომელები სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას სსრ კავშირის ყველა ამომრჩევლისადმი, მოქალაქისადმი.

მეათე ხუთწლედის წარმატებით შესრულებისათვის საერთო-სახალხო ბრძოლაში თავიანთი წვლილი შეაქვთ მოსკოველებს, მათ შორის დედაქალაქის ბაუმანის საარჩევნო ოლქის მშრომელებსაც. ხუთწლედის სამი წლის გეგმა ოლქის შრომითმა კოლექტივებმა ვადამდე შეასრულეს. დადგენილი დავალების გადამეტებით წარმოებულია 150 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია.

ორატორმა უდიდესი მადლობა გადაუხადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, პირადად ლ. ი. ბრეჟნევს იმისათვის, რომ ისინი მუდმივ ყურადღებას არ აკლებენ მოსკოვს, ზრუნავენ დედაქალაქის მცხოვრებლებისათვის. უპირველესი მნიშვნელობის საქმედ მიაჩნიათ მოსკოველებს ამხანაგ ბრეჟნევის მიერ წამოყენებული იმ ამოცანის შესრულება, რომ გადააქციონ მოსკოვი სანიმუშო კომუნისტურ ქალაქად.

ს. ა. კუპრეევმა დედაქალაქის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ყველა ამომრჩევლის, ყველა მოსკოველის სახელით უსურვა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს ჯანმრთელობა, ბედნიერება და ახალი დიდი წარმატებანი ჩვენი პარტიისა და ხალხის საკეთილდღეოდ, კომუნიზმისა და მშვიდობის იდეალების გამარჯვებებისათვის მთელ მის მრავალფეროვან მოღვაწეობაში.

დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილი პირი — გამომთვლელ-საანალიზო მანქანების ქარხნის რადიომემონტაჟე ა. გ. დემიდოვი შეკრებილთ ესაუბრა ლ. ი. ბრეჟნევის პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ. მან ხაზი გაუსვა, რომ ამხანაგ ბრეჟნევის ცხოვრების გზა ლენინური პარტიისა და საბჭოთა ხალხის უანგარო სამსახურის შესანიშნავი მაგალითია.

ჩვენი სამშობლოს შესანიშნავი მოქალაქის, პატრიოტისა და ინტერნაციონალისტის — ლ. ი. ბრეჟნევის ბიოგრაფია განუყრელად არის დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის გმირულ ისტორიასთან. ლეონიდ ილიას ძის ცხოვრების ფურცლების უფრო ღრმად გაცნობა შესაძლებელი გახდა მისი ნაწარმოებების „მცირე მიწის", „აღორძინებისა" და „ყამირის" მეშვეობით.

ლ. ი. ბრეჟნევის ნათელი ცხოვრება, მრავალმხრივი მიზანმიმართული მოღვაწეობა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს თავდადებული სამსახურის ნიმუშია, თქვა შემდეგ ორატორმა. ჩვენი სამშობლოს ეკონომიკური და სოციალური პროგრესისათვის, კომუნიზმისა და მშვიდობის საქმისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ბრძოლაში ხელმძღვანელისა და ორგანიზატორის დიდმა სიბრძნემ, შესანიშნავმა ნიჭმა ამხანაგ ბრეჟნევს მოუხვეჭეს საბჭოთა ხალხის, სოციალიზმის ქვეყნების მშრომელთა, მსოფლიოს ყველა პროგრესული ადამიანის უდიდესი აღიარება და ავტორიტეტი.

სასიხარულოა იმის შეგნება, რომ ჩვენი ქვეყანა მსოფლიოში პირველი განვითარებული სოციალიზმის ქვეყანა, მძლავრი სახელმწიფო გახდა, რომელსაც აქვს მოწინავე ეკონომიკა, მეცნიერება და კულტურა. ეს მკაფიოდ აისახა სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში, რომელიც მიღებულია ლ. ი. ბრეჟნევის ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით. სსრ კავშირის კონსტიტუცია ჩვენ, მშრომელებს, გვანიჭებს მთავარ უფლებას — ვიყოთ ჩვენი ქვეყნის ბატონ-პატრონები, სიტყვით კი არა, არამედ საქმით ვისარგებლოთ სოციალისტური დემოკრატიის უპირატესობებით.

ჩვენთვის, აღნიშნა ორატორმა, დიდი ხანია ბუნებრივი და ჩვეულებრივია ის, რომ ჩვენში არ არის უმუშევრობა, უფასოა სამედიცინო მომსახურება და განათლება, თანასწორი უფლებები აქვთ ქალებსა და მამაკაცებს, გარანტირებულია საპენსიო უზრუნველყოფა. ჩვენ მშვიდად ვართ ხვალინდელი დღისათვის, ჩვენი შვილების მომავლისათვის.

ჩვენ, მუშებს, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანს, კარგად გვაქვს შეგნებული, რომ ჩვენი ქვეყნის წარმატებანი უშუალოდ არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ გავირჯებით. ჩვენ ასევე კარგად გვესმის, რომ ჩვენი ქვეყნის ყველა მიღწევა და გამარჯვება განუყრელად არის დაკავშირებული მშობლიურ პარტიასთან, რომელიც ყველაზე მაღლა აყენებს ხალხის ინტერესებს და უმნიშვნელოვანეს საზრუნავად რაცხს მის კეთილდღეობას. ამით არის გამსჭვალული პარტიის მთელი საბრძოლო შტაბის — ლენინური ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მთელი საქმიანობა.

დასასრულ ა. გ. დემიდოვმა თქვა: ჩვენ, დედაქალაქის ბაუმანის ოლქის ამომრჩევლებს, წილად გვხვდა უმაღლესი პატივი და დიდი ბედნიერება — ავირჩიოთ უკვდავი ლენინის საქმის ერთგული განმგრძობი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი ჩვენს დეპუტატად ქვეყნის უმაღლეს საბჭოში. ჩვენი ოლქის ყველა ამომრჩეველი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს — 4 მარტს სიხარულითა და აღმავლობით მისცემს ხმას საყოველთაო-სახალხო რჩეულს — ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს!

შემდეგ გამოვიდნენ ტ. ნ. ბარკანოვა — საწარმოო სამკერვალო გაერთიანება „ბოლშევიჩკას" პარტკომის მდივანი, სოციალისტური შრომის გმირი ა. ა. ტუპოლევი — სსრ კავშირის საავიაციო მრეწველობის სამინისტროს გენერალური კონსტრუქტორი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ა. მ. სუროვცევი — № 1 სახლსაშენებელი კომბინატის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი, ნ. პ. ეფიმოვა — მოსკოვის ნ. ე. ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის სტუდენტი.

მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ დღეს განსაკუთრებით ძალუმად ჟღერს სსრ კავშირის კონსტიტუციის დებულება, რომელმაც ჩვენი ხალხის ნებით დაამკვიდრა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი, წარმმართველი როლი საბჭოთა საზოგადოებაში. პარტია ეპოქის გონება, პატიოსნება და სინდისია.

გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ არჩევნებისათვის მზადება სოციალისტური დემოკრატიის ისტორიულ უპირატესობათა მკაფიო დემონსტრაცია გახდა. საარჩევნო კამპანიისათვის დამახასიათებელია, რომ იზრდება საბჭოთა ადამიანების პოლიტიკური და შრომითი აქტიურობა, მაღლდება მათი შეგნების დონე და კოლექტივისა და საზოგადოებაში საქმის მდგომარეობისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა, სულ უფრო მკვიდრდება ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების თითოეულ რგოლში კეთილმოსურნეობის, პატივისცემისა და ურთიერთმომთხოვნელობის ატმოსფერო.

მოსკოველი მშრომელები ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის რეალური მიღწევებით, მეტად და უკეთ გარჯისადმი მისწრაფებით ცხადყოფენ, რომ მთლიანად და ერთსულოვნად უჭერენ მხარს ჩვენი პარტიის პოლიტიკას. მოსკოველებს ახარებთ, რომ დაუფასებდათ წვლილი, რომელიც შეაქვთ პარტიის XXV ყრილობის მიერ წამოყენებული აღმშენებლობითი ამოცანების გადაწყვეტაში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მიმართ უღრმესი მადლიერების გრძნობით შეხვდნენ მშრომელები იმ ამბავს, რომ მოსკოვს, დედაქალაქის ბაუმანისა და კიროვის რაიონებს, 95 საწარმო-ორგანიზაციას 1978 წლის მუშაობის შედეგებისათვის მიენიჭათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები. ეს ჯილდოები ფრთას ასხამს მოსკოველებს ახალი შრომითი საგმირო საქმეებისათვის. მთელ ქვეყანაში ვრცელდება ინიციატივა, რომელიც დედაქალაქის მოწინავე საწარმოთა კოლექტივებმა გამოიჩინეს — მოაწყონ 21 აპრილს ვ. ი. ლენინის დაბადების 109-ე წლისთავის აღსანიშნავად მასობრივი კომუნისტური შაბათობა.

ორატორებმა განაცხადეს, რომ ხმას მისცემენ რა ერთგულ ლენინელს, კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის ღირსეულ წარმომადგენელს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს, ამით მოსკოველები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, ხმას მისცემენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკას, ხალხის ბედნიერებას, სამშობლოს შესანიშნავ აწმყოსა და ნათელ მომავალს.

შემდეგ სიტყვა მიეცა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს. კრების მონაწილენი მას ფეხზე ამდგარი შეხვდნენ და დიდხანს უკრავდნენ ტაშს.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

პატივცემულო ამხანაგებო!

ძვირფასო მოსკოველებო!

ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებთან პირველად როდი მიწევს შეხვედრა. ზუსტად რომ ვთქვათ, დღეს ჩვენი მეცხრე წინასაარჩევნო შეხვედრაა. და ყოველთვის მინდა უწინარეს ყოვლისა გულითადი მადლობა გადაგიხადოთ თქვენ, ოლქის ყველა მშრომელს იმისათვის, რომ დამდეთ პატივი და გამიწიეთ ნდობა, როცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დამასახელეთ.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ნდობით აღჭურვილ პირს ალექსანდრე გრიგოლის ძე დემიდოვს, აგრეთვე ყველა ამხანაგს, რომლებმაც აქ ჩემს კანდიდატურას მხარი დაუჭირეს. დიდი მადლობა აგიტატორებსა და ნდობით აღჭურვილ პირებს, რომლებიც ჩვენი ოლქის საარჩევნო უბნებში მუშაობდნენ.

თქვენი ნდობა მიმაჩნია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისადმი ნდობად, იმ პოლიტიკური ხაზისადმი ნდობად, რომელიც პარტიამ მიიღო თავის XXV ყრილობაზე.

ეს ხაზი მიზნად ისახავს ეკონომიკის განვითარებასა და მშრომელთა ცხოვრების გაუმჯობესებას, სოციალისტური დემოკრატიის სრულყოფასა და ჩვენი სამშობლოს ყველა ერისა და ეროვნების ძმური მეგობრობის განმტკიცებას, საბჭოეთის თავდაცვითი ძლიერების ამაღლებასა და მტკიცე მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფას. სწორედ ეს პოლიტიკური ხაზი, საბჭოთა ადამიანების თავდადებულ შრომასთან ერთად, უდევს საფუძვლად ჩვენი საზოგადოების წარმატებებს. სწორედ ეს პოლიტიკური ხაზი განსაზღვრავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მთელი მუშაობის შინაარსსაც.

ალბათ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს საქმიანობაში მთავარი მოვლენა გახდა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის განხილვა და მიღება. მასში, ისევე როგორც მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ახალ კონსტიტუციებში, აისახა სახელმწიფოებრიობის, განვითარებული სოციალიზმის საზოგადოებრივი ურთიერთობის მთელი სისტემის ყველაზე დამახასიათებელი, ყველაზე მყარი ნიშნები.

კონსტიტუციის მოთხოვნების შესაბამისად, სსრ კავშირის ხელისუფლების უმაღლესმა ორგანომ დაიწყო საბჭოთა კანონმდებლობის შემდგომი განახლების ვრცელი პროგრამის განხორციელება. ამასთან ერთად სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ, მისმა პრეზიდიუმმა გააძლიერეს ხელმძღვანელობა საბჭოებისადმი, აგრეთვე კონტროლი კანონების შესრულებისადმი. დარწმუნებული ვარ, რომ ეს მიმართულებანი მზარდ როლს შეასრულებენ უმაღლესი საბჭოს საქმიანობაში. კანონების კარგი, მოფიქრებული სისტემა, პლუს მათი განუხრელი შესრულება — სწორედ ეს არის კანონიერება, სწორედ ეს არის მართლწესრიგი, ურომლისოდაც წარმოუდგენელია სოციალისტური ცხოვრების წესი, სოციალისტური დემოკრატია.

სოციალისტური დემოკრატიზმის წარმატებანი უეჭველია, მაგრამ უეჭველია ისიც, რომ საბჭოთა ხელისუფლების პოტენციური შესაძლებლობანი ჯერ კიდევ არ არის ამოწურული.

ცენტრალური კომიტეტი უპირველეს ყურადღებას უთმობს პარტიული ორგანიზაციების, სახალხო დეპუტატთა საბჭოების, პროფკავშირებისა და კომკავშირის აქტიურობის ამაღლებას. პარტია არჩევნებს ეგებება მათი მრავალმხრივი საქმიანობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის ვრცელი პროგრამით.

ამ პროგრამის არსი ის არის, რომ თითოეული, ვიმეორებ, თითოეული საბჭოთა ადამიანი გრძნობდეს თავის კავშირს სახელმწიფო საქმეებთან, დარწმუნებული იყოს, რომ მის აზრს, მის ხმას ყურად იღებენ და გაითვალისწინებენ დიდ თუ მცირე გადაწყვეტილებათა შემუშავების დროს.

აი რატომ არის საჭირო განვაგრძოთ, კიდევ უფრო გავააქტიუროთ გადამწყვეტი, უკომპრომისო ბრძოლა კანონიერების დარღვევების, კრიტიკის ჩახშობის, საქმის გაჭიანურების, ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის ფაქტების წინააღმდეგ. მეტი საჯაროობა. მეტი ყურადღება ადამიანთა საჭიროებებისა და აზრებისადმი. მეტი უშუალო, დაინტერესებული ურთიერთობა მასებთან. ასე სვამს საკითხს პარტია. ასეთი უნდა იყოს სახალხო დეპუტატთა ყველა საბჭოს მუშაობის სტილი, უმაღლესი საბჭო იქნება ეს თუ სასოფლო და სადაბო საბჭოები.

ახლა ჩვენი ეკონომიკის შესახებ. მისი მასშტაბი დღეს ისე დიდია, რომ გვიხდება ჭეშმარიტად ასტრონომიული ციფრებით ოპერირება. ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულებამ ტრილიონ მანეთს მიაღწია. ეროვნულმა შემოსავალმა არჩევნებიდან არჩევნებამდე პერიოდში თითქმის ორი ტრილიონი, ანუ 400 მილიარდი მანეთით მეტი შეადგინა, ვიდრე წინა ასეთსავე პერიოდში. ერთი სიტყვით, ჩვენი ეკონომიკა, ისევე როგორც მეცნიერება და კულტურა, გავიდა ახალ, უფრო მაღალ მიჯნებზე. ეს არის განვლილი პერიოდის მთავარი შედეგი.

მე, როგორც თქვენს დეპუტატს, არ შემიძლია არ აღვნიშნო ამასთან დაკავშირებით, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ამ წლების მანძილზე ბაუმანის საარჩევნო ოლქის მშრომელებმა, დედაქალაქის მშრომელთა მთელ დიდ რაზმთან ერთად ისინი სოციალისტური შეჯიბრების, კომუნისტური შრომისათვის ბრძოლის მონაწილეთა პირველ რიგებში არიან.

(გაგრძელება მე-2 გვ.)

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

(გაგრძელება)

სახეს იცვლის ჩვენი სამშობლოს უდიდესი რაიონები. კვლავ ფართოდ ვითარდება დასავლეთი ციმბირი, რომელიც უკვე გახდა ქვეყნის მთავარი სათბობ-ენერგეტიკული ბაზა. თითქოსდა სულ ახლახან დაიწყო ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობა, დღეს კი ამ მაგისტრალის მესამედ ნაწილზე უკვე გაიხსნა მატარებლების სამუშაო მიმოსვლა.

დამთავრდა მშიერი ველის ათვისება უზბეკეთში. მთავრდება „ბრინჯის ყამირის" — ყუბანის ქვემო წელის განთქმული ლია-ლელიანების ათვისება, უკვე ახლა ბევრად ახლებურად გამოიყურება ჩვენი არაშავმიწანიადაგიანი ზონა. იქმნება მარცვლეულის გარანტირებული წარმოების ზონა ვოლგისპირეთში.

ეკონომიკური პროგრესი, როგორც ეს ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმზე, წარმოუდგენელია თანამედროვე, დიდპროდუქტიული სოფლის მეურნეობის გარეშე.

ამ დარგის განვითარებისას მრავალი აგრარული პრობლემა გადავწყვიტეთ. განუხრელად იზრდება ერთ სულ მოსახლეზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება. მნიშვნელოვანი წარმატებანია მოპოვებული მარცვლეულის წარმოებაში. მყარად ვითარდებოდა მებამბეობა. ბევრი რამ გაკეთდა მეცხოველეობაშიც. შესამჩნევად გაიზარდა ხორცის, რძის, კვერცხის წარმოება. მაგრამ სირთულენი ჯერ კიდევ არის. მოსახლეობის მოთხოვნილებანი მეცხოველეობის პროდუქტებზე მთლიანად ვერ კმაყოფილდება. ამიტომ განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ ამ დარგის დაჩქარებულ განვითარებას. 1979 წლისათვის დასახულია ამოცანა გავაორკეცოთ ხორცის წარმოების მატება. როგორც მინიმუმი, კვლავაც ასეთივე ტემპით უნდა ვიაროთ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გასული წლის ივლისისა და ნოემბრის პლენუმებზე დაისახა საჭირო ღონისძიებები.

ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს, მშრომელთა კოლექტივებს მოუწოდა ყოველი ღონე იხმარონ, რათა ეს გადაწყვეტილებანი უთუოდ შესრულდეს.

ეკონომიკის ყოველმხრივმა ზრდამ კარგი ბაზა შეუქმნა ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებას. 1974-1978 წლებში უშუალოდ ხალხის კეთილდღეობას მოხმარდა ეროვნული შემოსავლის დაახლოებით ოთხი მეხუთედი, ესე იგი ტრილიონ-ნახევარი მანეთი. ეს თითქმის მესამედით მეტია, ვიდრე წინა ხუთწლედში.

პარტია, რომელიც უზრუნველყოფს XXV ყრილობის მიერ მიღებული სოციალური პროგრამის განუხრელ შესრულებას, კვლავაც უპირველეს ყურადღებას დაუთმობს საბჭოთა ადამიანების ცხოვრების გაუმჯობესებას, მშრომელთა ხელფასისა და რეალური შემოსავლის გადიდებას, საზოგადოებრივი ფონდების გაზრდას, ბინების მშენებლობას.

უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირის წარმატებანი მთლიანად — ეს არის თითოეული რესპუბლიკის წარმატებანი. დაგისახელებთ მხოლოდ ერთ ფაქტს. ყაზახეთი ხუთჯერ მეტ სამრეწველო პროდუქციას იძლევა, ვიდრე მთელი რევოლუციამდელი რუსეთი. მხოლოდ რესპუბლიკისა და მთელი ქვეყნის მშრომელთა გაერთიანებული მეცადინეობით მიაღწია ყაზახეთმა ასეთ მწვერვალს. იგივე შეიძლება ითქვას ნებისმიერი სხვა რესპუბლიკის შესახებაც. ასეთია ლენინური ეროვნული პოლიტიკის, საბჭოთა ხალხების მეგობრობისა და ძმობის შედეგი.

საერთოდ, როცა ვაფასებთ ჩვენი ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის შედეგებს, სრულიად გარკვეულად შეგვიძლია ვთქვათ, რომ თქვენი მთავარი განაწესი, ამხანაგო ამომრჩევლებო, შესრულებულია. ამასთან პარტიას, მთავრობას ახსოვთ თქვენი მეორე განაწესიც: საიმედოდ დავიცვათ საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შრომა.

ეს კი დიდძალ სახსრებს მოითხოვს ქვეყნის უშიშროების განმტკიცებისათვის როგორც დასავლეთით, ისე აღმოსავლეთითაც. თავდაცვისათვის იმდენს ვხარჯავთ, რამდენიც აბსოლუტურად საჭიროა. არც მეტი, არც ნაკლები, ვითარების შესაბამისად. და დარწმუნებული ვარ, რომ საბჭოთა ადამიანებს ეს ესმით.

რა თქმა უნდა, არ ვაპირებ სახალხო მეურნეობაში შექმნილი მდგომარეობა ვარდისფრად დაგიხატოთ. ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი, გადაუჭრელი პრობლემა გვაქვს. მათ შესახებ ლაპარაკი იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ნოემბრის პლენუმზე და აღარ მინდა გავიმეორო. შეგახსენებთ მხოლოდ, რომ მეტი წილი ასეთი პრობლემების გადაჭრის გზად მიგვაჩნია მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლება.

პარტიამ დიდი ხანია ეს ამოცანა დააყენა ეკონომიკური საქმიანობის ცენტრში, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ იგი ნელა წყდება. და ამაში ხელს გვიშლის არა მარტო ობიექტური გარემოება, არამედ ჩამორჩენილობის ინერციის ძალაც, ინერცია დაგეგმვაში, მეურნეობის გაძღოლის მეთოდებში და ალბათ, რაც მთავარია, სამეურნეო აზროვნებაში.

ჩვენ დიდხანს ვცხოვრობდით მწვავე დეფიციტების, თითქმის ყველა პროდუქციის — ლითონისა და სათბობის, მანქანებისა და მოწყობილობის შეზღუდული ნორმების პირობებში. ცხადია, ჩვენც სულ იმის ფიქრში ვიყავით, რომ როგორმე გაგვედიდებინა წარმოება, ყველაზე აუცილებლით მაინც დაგვეკმაყოფილებინა მეურნეობა.

დღეს საბჭოთა კავშირი თითქმის ყველა სახეობის პროდუქციას ორჯერ-სამჯერ, გარკვეულ დარგებში კი რამდენჯერმე მეტს აწარმოებს, ვიდრე 15-20 წლის წინათ. და მიუხედავად ამისა, ხან ერთი რამ გვაკლია, ხან მეორე. რატომ? მიზეზი მარტო ის როდია, რომ სწრაფად იზრდება მოთხოვნილება, თუმცა ამის უგულებელყოფაც არ შეიძლება. საქმე ეხება ჩვეულებასაც, თავისებურ ტრადიციას — მეტი ყურადღება დავუთმოთ წარმოების მოცულობის ზრდას, ვიდრე პროდუქციის ხარისხს, წარმოებულის ეფექტიან, რაციონალურ გამოყენებას. მეურნეობის გიგანტური მასშტაბის დროს უკანასკნელ ფაქტორს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. მისი სრულად გამოყენების გზით შეიძლებოდა წარმოების ახლანდელ დონეზე გაცილებით უკეთ დაგვეკმაყოფილებინა ქვეყნის მოთხოვნილება ლითონზე, სათბობზე, საშენ მასალებზე, სახალხო მოხმარების საქონელზე.

ეს მთლიანად ეხება სოფლის მეურნეობასაც. მოსავალი მატულობს, მაგრამ კარტოფილის, ბოსტნეულის, ხილის, მარცვლეულის დანაკარგებიც ჯერ კიდევ მნიშვნელოვანია. ამასთან სოფლის მეურნეობა შემადგენელი ნაწილია აგროსამრეწველო კომპლექსისა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქვეყანა ნედლეულითა და სურსათით. აქ წარმატების საზომი უნდა გახდეს არა მარტო მოწეული მოსავალი, არამედ, უწინარეს ყოვლისა, ის, რასაც ვაწვდით მომხმარებელს, — მაღაზიებს, საკოლმეურნეო ბაზრებს, საბჭოთა ადამიანების სუფრას. ეს ყველა მეცადინეობის საბოლოო შედეგია და იგი უმთავრესად უნდა მივიჩნიოთ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელმა პლენუმმა ამის გამო მიიღო გადაწყვეტილება — კაპიტალური დაბანდებების განაწილებისას გავადიდოთ სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოვლა-შენახვის, სწაფი ტრანსპორტირებისა და ხარისხოვანი გადამუშავების უზრუნველყოფის საშუალებანი და რესურსები. ეს გადაწყვეტილება განუხრელად უნდა განხორციელდეს. დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი მიდგომა ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის ეფექტიანობის ამაღლებას, უფრო სწრაფად გააუმჯობესებს სურსათ-სანოვაგით მოსახლეობის უზრუნველყოფას.

ერთი სიტყვით, ამხანაგებო, ახლა არა გვაქვს იმაზე უფრო მნიშვნელოვანი საქმე, ვიდრე მთელი ჩვენი შესაძლებლობებისა და დოვლათის ყაირათიანი, უაღრესად რაციონალური გამოყენება. ამიტომ ახლებურად უნდა მივუდგეთ კაპიტალურ დაბანდებათა პოლიტიკისა და ტექნიკური პოლიტიკის ბევრ სფეროს, მანევრულად უნდა გამოვიყენოთ არსებული სიმძლავრეები და მუშახელის რესურსები, დავძლიოთ უწყებრივი და კუთხური ტენდენციები. რამდენადმე უნდა გარდავქმნათ აგრეთვე დაგეგმვა და მეურნეობრიობის მეთოდები, მაჩვენებლების სისტემა და მატერიალური სტიმულირება. და რაგინდ რთულიც უნდა იყოს ეს გარდაქმნა, უამისოდ ფონს ვერ გავალთ.

ეს განსაკუთრებით უნდა ითქვას დღეს, რადგან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ახალ შემადგენლობას, მთავრობას, ცენტრალურ სამეურნეო ორგანოებს მოუწევთ იმუშაონ მეტად პასუხსაგებ პერიოდში, როცა მთავრდება მიმდინარე და მზადდება მომავალი ხუთწლედი. მეთერთმეტე ხუთწლიანმა გეგმამ სრულად უნდა შეასხას ხორცი პარტიის ეკონომიკურ პოლიტიკას, შეისისხლხორცოს ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური აზრის უკანასკნელი მიღწევები, მთელი ჩვენი გამოცდილება.

ვლადიმერ ილიას ძე ლენინი საბჭოების ეკონომიკურ საქმიანობას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა. მის კრემლის ბიბლიოთეკაში შემონახულია მოსკოვის საბჭოს აღმასკომის საქმიანობის მიმოხილვა. იმ ადგილას, სადაც ნათქვამი იყო, რომ 1920 წლის 3,5 თვის მანძილზე აღმასკომმა განიხილა 46 ორგანიზაციული და მხოლოდ 8 ეკონომიკური საკითხი, ვლადიმერ ილიას ძეს ხაზი გაუსვამს ციფრებისათვის და კიდეზე წაუწერია: „პირიქით უნდა იყოს".

ახალმა კონსტიტუციამ გააფართოვა საბჭოების უფლებები ეკონომიკის დარგში. უნდა ვისწავლოთ ამ უფლებების გამოყენება. მით უმეტეს, რომ სამეურნეო მშენებლობაში არის ამოცანები, რომლებსაც საბჭოებზე უკეთ ვერავინ ვერ გადაწყვეტს.

ცნობილია, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე ბევრი რამ გაკეთდა წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციისათვის, მართვაში დარგობრივი საწყისების გაძლიერებისათვის. მაგრამ ამასთანავე უფრო აქტიური უნდა იყოს უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების, მათი აღმასრულებელი ორგანოების მუშაობა შესაბამის ტერიტორიაზე კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების უზრუნველყოფისათვის. მხოლოდ დარგობრივი და ტერიტორიული საწყისების გონივრული შეხამება უზრუნველყოფს ეფექტიან მეურნეობრიობას.

ჩვენი საბჭოები, საბჭოთა დემოკრატია ცხოველმყოფელ უდიდეს ძალას შეიცავენ. და იგი კიდევ უფრო სრულად უნდა გამოვიყენოთ არსებული რეზერვების გამოვლენისათვის, ნაკლოვანებათა კრიტიკისათვის, აზრის შეჯერებისა და დასაბუთებულ გადაწყვეტილებათა შემუშავებისათვის. საბჭოთა დემოკრატიას შეუძლია და კიდევაც უნდა ემსახუროს უკეთ ეკონომიკურ პროგრესს, ხოლო ეკონომიკური პროგრესი იყო და არის საძირკველი, მატერიალური საფუძველი საბჭოთა ადამიანების უფლებებისა და თავისუფლებების რაც შეიძლება სრული უზრუნველყოფისათვის, სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი აყვავებისათვის.

ჩვენს წინაშე დასახული ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტა მოითხოვს შემოქმედებითს მიდგომას, მაღალ პასუხისმგებლობას, უმკაცრეს დისციპლინას მეურნეობის ყველა რგოლში. ეს ეხება ყველა დონის სამეურნეო ხელმძღვანელთა მუშაობას. ეს ეხება წარმოების უშუალო მონაწილეებსაც. დაე თითოეულმა, ვინც დაზგასთან დგას, მინდორში ან სახაზავ მაგიდასთან შრომობს, თავის თავს ჰკითხოს, ყველაფერი იღონა თუ არა იმისათვის, რომ იმუშაოს უფრო ნაყოფიერად, უფრო ხარისხიანად, დაზოგოს მასალები, ფუჭად არ დახარჯოს დრო. თუ პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში მოსული წერილებით, საარჩევნო კამპანიის დროს მშრომელთა გამოსვლების ხასიათით ვიმსჯელებთ, საბჭოთა ადამიანებს მკაფიოდ აქვთ წარმოდგენილი, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ საკითხს თანამედროვე პირობებში ჩვენი ქვეყნის განვითარებისათვის.

მოთხოვნა, რომ გავაუმჯობესოთ ორგანიზებულობა, ავამაღლოთ პასუხისმგებლობა და დისციპლინა მუშაობის ყველა უბანზე, ამომრჩეველთა ერთ-ერთი ძირითადი განაწესია.

მაშ მოდით, ამხანაგებო, ყველაფერი ვიღონოთ, რათა ეს განაწესი შესრულდეს — არა სიტყვით, არამედ საქმით!

ნება მიბოძეთ შევეხო ახლა საერთაშორისო საკითხებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინა არჩევნების დროიდან გასული წლები მსოფლიო ასპარეზზე დიდი და რთული მოვლენების პერიოდი იყო. ეს იყო სოციალისტური ქვეყნების შემდგომი წარმატებული განვითარების, აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის ხალხთა ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის ბრძოლაში ახალი გამარჯვებების, კაპიტალის ქვეყნებში მშრომელთა კლასობრივი ბრძოლების მნიშვნელოვანი გააქტიურების, იქ კომუნისტური და მუშათა პარტიების გავლენის განმტკიცების წლები.

ამავე დროს ეს იყო პერიოდი, როცა იმპერიალიზმის ყველაზე რეაქციული ძალები, იარაღის ფაბრიკანტები და მილიტარისტები, „ცივი ომის" ქომაგები და მათი დაქირავებული თუ მოხალისე დამქაშები გაერთიანდნენ და ფართო კამპანია წამოიწყეს დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების წინააღმდეგ, განმათავისუფლებელი ბრძოლის წინააღმდეგ.

იმიზეზებენ რა მოგონილ „საბჭოთა საფრთხეს", ისინი მოითხოვენ ახალ-ახალი მილიარდების გამოყოფას სამხედრო მიზნებისათვის, სულ უფრო დამანგრეველ და ბარბაროსულ სახეობათა იარაღის შექმნისათვის. ისინი ცდილობენ დათრგუნონ ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობა, ერევიან სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში. იმპერიალიზმის ასეთ პოლიტიკას სულ უფრო უკავშირდება ჩინეთის ხელმძღვანელთა პოზიცია.

მეზობელ პატარა ქვეყანაზე — სოციალისტურ ვიეტნამზე უპრეცედენტო, თავხედური, ყაჩაღური თავდასხმით პეკინის ახლანდელმა მმართველებმა მთელი მსოფლიოს წინაშე საბოლოოდ გააშიშვლეს თავიანთი დიდმპყრობელური, ჰეგემონისტური პოლიტიკის ვერაგული, აგრესიული არსი. ახლა ყველა ხედავს, რომ სწორედ ეს პოლიტიკა ამჟამად ყველაზე სერიოზულ საფრთხეს უქმნის მთელი მსოფლიოს მშვიდობას. ახლა განსაკუთრებით ნათელია ამ პოლიტიკისათვის ხელშეწყობის ყოველი ფორმის მთელი საფრთხე.

საბჭოთა ხალხი მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხებთან ერთად მოითხოვს დაუყოვნებლივ შეწყდეს ჩინეთის აგრესია ვიეტნამის წინააღმდეგ, ინტერვენტებმა უკანასკნელ ჯარისკაცამდე გაიყვანონ მთელი ჯარები ვიეტნამის მიწა-წყლიდან. მოძმე ვიეტნამთან ჩვენი მეგობრობა მრავალი წლის განმავლობაში საქმით არის გამოცდილი. და დღეს, ვიეტნამელი ხალხისათვის ამ ძნელ ჟამს, მთლიანად და სავსებით ვუჭერთ მხარს მას. და არავის არ უნდა შეეპაროს ეჭვი: საბჭოთა კავშირი ერთგულია მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებისა, რომელიც ჩვენს ქვეყნებს აკავშირებს. ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკა სამართლიან, კეთილშობილურ ბრძოლას აწარმოებს. მის მხარეზე არიან მთელი მსოფლიოს პატიოსანი და მშვიდობისმოყვარე ადამიანები. ამიტომ ვიეტნამის საქმე უძლეველია, აგრესორის ზრახვები კი განწირულია.

ასეთ ვითარებაში, ამხანაგებო, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა მთავრობა ძალ-ღონეს არ ზოგავენ, რომ განავითარონ თანამშრომლობა მშვიდობის, თავისუფლებისა და პროგრესის ძალებთან, ჩაფუშონ აგრესიული წრეების ზრახვები, დაიცვან და გააღრმაონ საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, შეუქმნან საბჭოთა ხალხს, ჩვენს მოკავშირეებსა და მეგობრებს მშვიდობიანი ცხოვრებისა და შრომის საიმედო გარანტია.

განვლილი წლების შედეგების შეფასებისას, კმაყოფილებით შეგვიძლია ვთქვათ: პრაქტიკულად პარტიის XXIV და XXV ყრილობების ისტორიული დოკუმენტებით განსაზღვრული საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის ყველა მიმართულებით სერიოზულ წარმატებებს მივაღწიეთ.

ჩვენი ეპოქის ერთ-ერთი მთავარი ნიშანია სოციალიზმის სამყაროს მტკიცე, დინამიკური განვითარება და საერთაშორისო ვითარებაზე მისი კეთილნაყოფიერი გავლენის განუხრელი ზრდა. ვიეტნამის გაერთიანებამ, ლაოსის სოციალისტურმა რევოლუციამ, სოციალიზმისა და დემოკრატიის ძალების გამარჯვებამ კამპუჩიაში — ეს სამყარო კიდევ უფრო ვრცელი, ძლიერი და მრავალფეროვანი გახადა.

მოძმე ქვეყნებთან ურთიერთობას ჩვენ უპირველეს ყურადღებას ვუთმობთ. ეს ურთიერთობა სულ უფრო ღრმა და მრავალმხრივი ხდება.

სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებმა, რომლებიც სწავლობენ და ეუფლებიან ერთმანეთის გამოცდილებას, ამ წლებში ახალი დიდი ნაბიჯი გადადგეს სახელმწიფო მშენებლობის, სოციალისტური დემოკრატიის განვითარების გზით.

ეკონომიკური ურთიერთობის დარგში შესამჩნევად გაიზარდა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს როლი. იგი გახდა სოციალიზმის ქვეყნების ეროვნული სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტის მნიშვნელოვანი იარაღი. თავის 30-ე წლისთავს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო საქმიანად ხვდება: ემზადება მთელი რიგი ახალი ერთობლივი ეკონომიკური პროექტების ხელმოწერისათვის, ამთავრებს კიდევ ორი გრძელვადიანი მიზნობრივი პროგრამის შემუშავებას. კარგი მიღწევები იუბილეს აღნიშვნის საუკეთესო საშუალებაა! მაგრამ ცხადია მეორე მხარეც: თანამშრომლობის ყველა ფორმა როდია მოსინჯული, საჭიროა შემოქმედებითი და აქტიური ძიება.

ჩვენს ხანაში კაცობრიობის ყველაზე გადაუდებელი, უმწვავესი ამოცანა გახდა გამალებული შეიარაღების შეწყვეტა, მსოფლიო ბირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილება. საბჭოთა კავშირი, ისევე როგორც სოციალიზმის სხვა ქვეყნები, ძალ-ღონეს არ იშურებს ამ მიზნებისათვის ბრძოლაში.

თანამედროვე საერთაშორისო ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭება ჩვენი ქვეყნების კოლექტიურ ინიციატივებს, რომელთა მიზანია მშვიდობის განმტკიცება. ეს, კერძოდ, შეეხება დეკლარაციასაც, რომელიც მიღებულია მოსკოვში ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის ამასწინანდელ თათბირზე, და შეიცავს მთელ რიგ ახალ დიდმნიშვნელოვან იდეებს, რომლებიც ხელს შეუწყობს საერთაშორისო კლიმატის გაჯანსაღებასა და განიარაღებას.

ამ თვალსაზრისით, უდავოდ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ახალი ხელშეკრულების შემუშავება შეტევითი სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის თაობაზე. ახლა საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მალე უნდა დამთავრდეს ექვს წელზე მეტი ხნის შრომა. რა თქმა უნდა, ჩვენი თვალსაზრისით ხელშეკრულება შეიძლებოდა უკეთესიც ყოფილიყო. თუმცა იგი მთლად ვერ შეესაბამება ჩვენს სურვილს, მაგრამ ეს არის გონივრული კომპრომისი, რომელიც ორივე მხარის ინტერესებს ითვალისწინებს. მთლიანად კი, ეს დიდი და კარგი საქმეა.

ჯერ ერთი, ახალი ხელშეკრულება, თუ მას ხელს მოვაწერთ, დავამტკიცებთ და ძალამოსილად გამოვაცხადებთ, რამდენიმე წლით—მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი მომენტების თვალსაზრისით 1985 წლამდე გარკვეულწილად გზას გადაუღობავს ყველაზე დამანგრეველ და ძვირადღირებულ სახეობათა იარაღის შემდგომ დაგროვებას. ამასთან ხელშეკრულება გამოხატავს მხარეების თანასწორობისა და თანაბარი უშიშროების პრინციპს. და შეგვიძლია გარკვევით ვთქვათ: მისი ხორცშესხმა არაფერს ავნებს საბჭოთა კავშირის უშიშროებას, ისევე — როგორც შეერთებული შტატების უშიშროებას. მთლიანად კი იგი, ჩემი აზრით, ხელსაყრელი იქნება ორივე ქვეყნისათვის.

მეორე, ხელშეკრულების ძალამოსილად გამოცხადება ნიშნავს, რომ გრძელდება გამალებული შეიარაღების ალაგმვის პროცესი, რომელიც სსრ კავშირის ინიციატივით დაიწყო. სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის პირველ შეთანხმებას მოჰყვა მეორე შეთანხმება. ამ უკანასკნელის ძალაში შესვლის შემდეგ დაიწყება მუშაობა სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის მესამე შეთანხმებაზე. მან უნდა მოიცვას კიდევ უფრო მეტი ასპექტები, დაამუხრუჭოს ახალ სახეობათა იარაღის შექმნა, გაითვალისწინოს უკვე არა მარტო შეიარაღების ზრდის შეზღუდვა, არამედ მისი შემცირებაც ორივე მხარის მიერ.

ალბათ, ახლანდელი ხელშეკრულება გამოგვაცოცხლებინებს ამჟამად მიმდინარე სხვა მოლაპარაკებასაც, — მაგალითად, ბირთვული იარაღის გამოცდის სრული აკრძალვის, ჩვეულებრივი იარაღით ვაჭრობის შეზღუდვის შესახებ, აგრეთვე, ვიმედოვნებთ, ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირების მოლაპარაკებასაც.

დაბოლოს, მესამე, — სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულების დადება უთუოდ სასიკეთო გავლენას მოახდენს მთლიანად საერთაშორისო კლიმატზე. ახალ ხელშეკრულებას, როცა მისი შემუშავება დამთავრდება, ალბათ, ხელს მოვაწერთ მაშინ, როცა შევხვდები პრეზიდენტ კარტერს, ვიმედოვნებ — ახლო მომავალში. გათვალისწინებული გვაქვს განვიხილოთ აგრეთვე საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის შემდგომი განვითარების, დაძაბულობის შენელების განმტკიცებისა და საყოველთაო მშვიდობის დამკვიდრების მთელი რიგი საკითხები. გვაქვს სხვა ძვრებიც გამალებული შეიარაღების შეკავების დარგში. ძალაში შევიდა კონვენციები ბაქტერიოლოგიური იარაღის აკრძალვისა და გარემო ბუნებაზე სამხედრო მიზნით ზემოქმედების აკრძალვის შესახებ.

მიმდინარეობს ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის რეჟიმის გარკვეული განმტკიცება. ამას ხელს უწყობს მსოფლიოში პირველი უბირთვო ზონის შექმნაც, რომელიც ლათინური ამერიკის მეტწილ ქვეყნებს მოიცავს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მოიწონა ჩვენი წინადადებანი იმის თაობაზე, რომ უშიშროების გარანტიები მიენიჭოთ უბირთვო სახელმწიფოებს, არ განლაგდეს ბირთვული იარაღი იმ ქვეყნების ტერიტორიებზე, სადაც იგი ახლა არ არის, აგრეთვე, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ასამბლეამ მოუწოდა ბირთვულ სახელმწიფოებს დაიწყონ მოლაპარაკება ბირთვული იარაღის წარმოების სრული შეწყვეტისა და მისი მარაგის შემცირების თაობაზე. ეს უაღრესად მნიშვნელოვან საქმედ მიგვაჩნია და მზად ვართ დავიწყოთ ასეთი მოლაპარაკება.

განვლილ წლებში შესამჩნევად შეიცვალა — და ისევ მნიშვნელოვანწილად სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების პოლიტიკის ზემოქმედებით — ევროპის პოლიტიკური კლიმატი. დიდ ნიშანსვეტად იქცა სრულიად ევროპის თათბირი და მისი საბოლოო აქტი, რომელსაც ჰელსინკის შეხვედრის დროს მოვაწერეთ ხელი. აქ სწორად იყო განსაზღვრული დაძაბულობის შენელების გზით წინსვლის მთავარი მარშრუტები.

ევროპაში საგრძნობი ცვლილებებია მომხდარი: ახლებურად გამოიყურება აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის ქვეყნების პოლიტიკური ურთიერთდამოკიდებულება. ჩვეულებრივ საქმედ იქცა კონტაქტები და კონსულტაციები მთავრობებს შორის, ხელმძღვანელთა ორმხრივი ვიზიტები — კეთილი ნების მისიები. გაფართოვდა მშვიდობიანი თანამშრომლობის გეოგრაფია. საბჭოთა კავშირისათვის იგი ახლა მოიცავს აგრეთვე პორტუგალიასა და ესპანეთს. ურიგოდ როდი ვითარდება ჩვენი ურთიერთობა თურქეთთან.

უფრო სტაბილური ხდება ევროპის ქვეყნების ეკონომიკური ურთიერთობა. მაგალითად, ჩვენ ამ ბოლო დროს გრძელვადიანი ეკონომიკური შეთანხმებანი დავუდეთ ფინეთს, საფრანგეთს, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და მთელ რიგ სხვა ქვეყნებს. სავსებით შეგვიძლია ასეთსავე საფუძველზე გადავიყვანოთ იტალიასთან ურთიერთობაც. ასეთი შეთანხმებანი — ეს არის აღმოსავლეთისა და დასავლეთის ერთგვარი ერთობლივი კაპიტალდაბანდება ფრიად საჭირო და ურთიერთხელსაყრელ საქმეში — საერთაშორისო მშვიდობის შენარჩუნებასა და განმტკიცებაში.

რა თქმა უნდა, ჩვენ კარგად ვხედავთ სიძნელეებსაც ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების გზაზე. ახლა უპირველესი ამოცანაა გავავრცელოთ დაძაბულობის შენელება სამხედრო დარგზე. ეს განსაკუთრებით აუცილებელია, რადგან ნატოს ბლოკი გამალებით ზრდის თავის შეიარაღებას, რითაც ართულებს ვითარებას ევროპაში. ჩვენ კი ვცდილობთ მივაღწიოთ შეთანხმებას კონტინენტზე სამხედრო კონფრონტაციის დონის შემცირების რეალურ ღონისძიებათა შესახებ, რაც განამტკიცებდა ევროპის მშვიდობის საფუძვლებს. მაგრამ ამ თვალსაზრისით, სამწუხაროდ, ძვრები ჯერჯერობით არ არის.

ავიღოთ ვენის მოლაპარაკება. ახლა იგი ჩაეფლო დავის ჭაობში იმის თაობაზე, თუ რა მეთოდით უნდა დათვალონ მხარეთა შეიარაღებული ძალების პერსონალი თვით უკანასკნელ მზარეულამდე ან სანიტრამდე. გულახდილად რომ ვთქვათ, ეს არის დასავლეთის ქვეყნების ტაქტიკა, ცდა თავი დააღწიონ შეთანხმებას სწორედ მაშინ, როცა მხარეთა პოზიციები საკითხის არსის შესახებ მნიშვნელოვნად დაახლოვდა. ბოლოს და ბოლოს, ეს ფაქტია, რომ ევროპაში არსებობს საერთო სამხედრო წონასწორობა, თითოეული მხარის შეიარაღებული ძალების სტრუქტურაში კიდევაც რომ იყოს ერთგვარი განსხვავება. სწორედ ამ ფაქტს უნდა ვითვალისწინებდეთ.

სოციალისტური ქვეყნების წინადადებები ცნობილია. მოგაგონებთ, რომ ამ წინადადებების ფარგლებში საბჭოთა კავშირი დასაწყისისათვის მზად არის წლის განმავლობაში ცენტრალური ევროპიდან გაიყვანოს 30 ათასი კაცი სამხედრო პერსონალი და გაიტანოს მნიშვნელოვანი რაოდენობის სამხედრო ტექნიკა, მათ შორის ათასი ტანკი, იმ პირობით, რომ შეერთებული შტატები შეამცირებს — ამასთან ნაკლები მასშტაბით — თავის შეიარაღებულ ძალებს ამ რაიონში. ჩვენ კვლავ მოველით ამ წინადადებებზე კონსტრუქციულ პასუხს.

ბოლო დროს სულ უფრო ხშირად ქვეყნდება ცნობები იმის შესახებ, რომ პენტაგონი ზემოქმედებას ახდენს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაზე, ცდილობს დაითანხმოს, რომ ამ ქვეყანაში — იქ უკვე არსებული მოწინავე ბაზირების ამერიკულ საშუალებათა დამატებით — განალაგოს კიდევ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული მოქმედების საშუალო რადიუსის რაკეტულ-ბირთვული იარაღი. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში თითქოს ისმის პროტესტის ხმები ამის წინააღმდეგ. ეს გასაგებიცაა: ამ გეგმების, ისევე როგორც ნეიტრონული იარაღის შესახებ ამერიკის მხედრიონის განზრახვის განხორციელებას ხომ მოჰყვებოდა დაძაბულობის ახალი ზრდა ევროპაში, გამალებული შეიარაღების ახალი გაძლიერება, ამასთან თვით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისათვის საშიშროების მკვეთრი გადიდება.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, მას უკვე არაერთხელ განუცხადებია, რომ მხარს უჭერს რაკეტულ-ბირთვული ან სხვა იარაღის არა გადიდებას, არამედ შეზღუდვას მხარეების შეთანხმების გზით სრული ნაცვალგების საფუძველზე. ეს შეეხება ევროპაში განლაგებულ მოქმედების საშუალო რადიუსის იარაღსაც — რა თქმა უნდა, აგრეთვე იქ ამერიკის სამხედრო ბაზების არსებობის გათვალისწინებით. ჩვენი და მოძმე სოციალისტური სახელმწიფოების საერთო პოზიცია ამის შესახებ ამ ცოტა ხნის წინათ კვლავ აისახა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების მოსკოვის დეკლარაციაში.

კიდევ ერთი საკითხი. ურთიერთნდობის განმტკიცების მიზნით სრულიად ევროპის თათბირის მონაწილენი ერთმანეთს აწვდიან ცნობებს სამხედრო მანევრების შესახებ, რომლებსაც აწყობენ შესაბამის რაიონში, იწვევენ ამ მანევრებზე უცხოელ მეთვალყურეებს. იქნებ, ახლა გავაფართოოთ ეს პრაქტიკა: წინასწარ ვაცნობოთ არა მარტო მანევრების, არამედ აგრეთვე ჯარების ყველა მნიშვნელოვანი გადაადგილების შესახებ ამ რაიონის ფარგლებში, აგრეთვე დიდი სამხედრო-საზღვაო წრთვნის შესახებ, თუ იგი ეწყობა სრულიად ევროპის თათბირის მონაწილე სხვა ქვეყნების წყლების ახლოს.

ჩვენ, რა თქმა უნდა, მზადა ვართ განვიხილოთ სხვა წინადადებებიც, რომელთა მიზანი იქნება ურთიერთნდობის განმტკიცება.

1976 წელს ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებმა წამოაყენეს წინადადება, რომ სრულიად ევროპის თათბირის მონაწილე სახელმწიფოებმა იკისრონ ვალდებულება პირველებმა არ გამოიყენონ ერთმანეთის წინააღმდეგ ბირთვული იარაღი. ამის პასუხად დასავლეთში იწყეს მტკიცება, თითქოს ეს უფრო შესაძლებელს გახდიდა ომებს ჩვეულებრივ სახეობათა იარაღის გამოყენებით. რაკი ასეა, მაშინ, მოდით, შევთანხმდეთ, რომ პირველი არ გამოვიყენებთ როგორც ბირთვულ, ისე ჩვეულებრივ იარაღს. სხვანაირად რომ ვთქვათ, დავდოთ რაღაც პაქტის მსგავსი რამ სრულიად ევროპის თათბირის მონაწილეთა თავდაუსხმელობის შესახებ. ვფიქრობ, ეს სავსებით შეესაბამება ჰელსინკის სულისკვეთებას.

ამ ბოლო წლებში ჩვენ კიდევ უფრო ახლო ურთიერთობა დავამყარეთ ბევრ ქვეყანასთან, რომლებიც განთავისუფლდნენ კოლონიური ან ნახევრადკოლონიური ჩაგვრისაგან.

ეროვნული განთავისუფლებისა და სოციალური პროგრესისათვის ხალხთა ბრძოლის მხარდაჭერა ჩვენი საგარეო პოლიტიკის პრინციპია, რომელიც დამკვიდრებულია სსრ კავშირის კონსტიტუციაში. იგი თანამიმდევრულად ხორციელდება. ჩვენ ვამაყობთ უანგარო დახმარე-

(დასასრული მე-4 გვ.)

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

(დასასრული)

...თ, რომელიც საბჭოთა კავშირმა და სოციალისტური ...ნამეგობრობის სხვა ქვეყნებმა გაუწიეს, მაგალითად, ...გოლისა და ეთიოპიის ხალხებს აგრესიის წინააღმდეგ, ...ავიანთი მომავლის დამოუკიდებლად განსაზღვრის ...ულებისათვის ბრძოლაში. საბჭოთა ადამიანების სო...იდარობისა და გულწრფელი სიმპათიის გრძნობებს ...ვევს პროგრესული გარდაქმნები რევოლუციურ ავ...ანეთში.

ჩვენი დროის დიდმნიშვნელოვანი ნიშანია ჩვენი ხელ...კრულებები მეგობრობისა და თანამშრომლობის შე...ხებ ანგოლასთან, ეთიოპიასთან, მოზამბიკთან, ავღანე...თან. ეს ვინმეს წინააღმდეგ მომართული სამხედრო ...ვშირები, კოალიციები კი არა, არამედ სწორედ იმათ...ან მეგობრობისა და თანამშრომლობის დოკუმენტებია, ...ნც ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან თავისუფალი სა...ოგადოების მშენებლობის გზას დაადგა. მსოფლიო პო...იტიკაში არ არის დარგი, სადაც ჩვენი პარტია და საბ...ოთა სახელმწიფო არ იღვწოდნენ სამართლიანობის, ...როგრესისა და მშვიდობის საქმისათვის. ამ პოზიცი...იდან ვუდგებით ჩვენ აგრეთვე თავისუფლებისა და დე...კრატიისათვის ბრძოლას ჩვენგან დაშორებულ ნიკა...აგუაშიც, მეზობელ ირანშიც, ზიმბაბვესა და ნამიბიის ...ლხთა ბრძოლას რასისტული ჩაგვრისაგან განთავისუ...ლებისათვის, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში აპარ...იდის სისტემის გაუქმებისათვის. ამითვე განისაზღვრება ჩვენი დამოკიდებულება ახლო აღმოსავლეთის ვითარების მოწესრიგების პრობლემებისადმი. აქ, ისევე როგორც მსოფლიოს სხვა რაიონებში, ჩვენ არ ვეძებთ ანგარებითს სარგებლობას, არ ვიჩემებთ სხვა ქვეყნების ბუნებრივ სიმდიდრეებს.

ჩვენ გვსურს, რომ იყოს მტკიცე მშვიდობა და უყოყმანოდ ვუჭერთ მხარს არაბ ხალხთა კანონიერ უფლებებს ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციისათვის, იმპერიალისტური დიქტატის, კაპიტულანტურ გარიგებათა და არაბების საარსებო ინტერესებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლას.

განსაკუთრებით უნდა ითქვას ირანის სახალხო, ანტიიმპერიალისტური, ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციის შესახებ. ჩვენ, ისევე როგორც ხალხთა მშვიდობის, პროგრესისა და დამოუკიდებლობის ყველა გულწრფელი მომხრე, მივესალმებით ამ რევოლუციის გამარჯვებას, რომელმაც ბოლო მოუღო დესპოტურ, მჩაგვრელ რეჟიმს, უცხოეთის იმპერიალიზმის ექსპლოატაციის ობიექტად და დასაყრდენ ბაზად რომ აქცია ქვეყანა. ჩვენ წარმატებებსა და აყვავებას ვუსურვებთ ახალ, რევოლუციურ ირანს, და იმედი გვაქვს, რომ საბჭოთა კავშირისა და ირანის ხალხთა კეთილმეზობლობა ახალ პირობებში ნაყოფიერად განვითარდება ურთიერთპატივისცემის, კეთილი ნებისა და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის მტკიცე საფუძველზე.

ჩვენ კვლავაც განვამტკიცებთ მეგობრობას და თანამშრომლობას განთავისუფლებულ ქვეყნებთან, მიუმხრობლობის მოძრაობის მონაწილე სახელმწიფოებთან, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ხალხებთან.

ამხანაგებო! მთელ ჩვენს საგარეო პოლიტიკას ვახორციელებთ და კვლავაც განვახორციელებთ მოძმე სოციალისტურ სახელმწიფოებთან მჭიდრო კავშირით, ამასთან დავეყრდნობით აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის დამოუკიდებელი, თავისუფლებისმოყვარე ქვეყნების მხარდაჭერას, ვითანამშრომლებთ ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოსთან და საზოგადოებრივ ძალებთან მსოფლიოს კაპიტალისტურ ნაწილში.

ჩვენი მიზანია მტკიცე მშვიდობა და უშიშროება საბჭოთა ხალხისათვის, მტკიცე მშვიდობა და მშვიდობიანი თანამშრომლობა დედამიწის ყველა სახელმწიფოს შორის. და ამ მიზნის მიღწევისათვის ჩვენ დაუცხრომლად, ძალ-ღონისა და ენერგიის დაუზოგავად ვიბრძოლებთ.

აი, შეიძლება ითქვას, ყველაფერი, რის თქმაც მინდოდა დღეს.

პარტიის წინასაარჩევნო პლატფორმა ჩამოყალიბებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში, ჩემი ამხანაგების — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისა და წევრობის კანდიდატების, ცენტრალური კომიტეტის მდივნების სიტყვებში, ჩემს დღევანდელ გამოსვლაში. და მე მოგიწოდებთ თქვენ, ყველა ამომრჩეველს, ხმა მისცეთ კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს.

ხალხის მიერ ჩვენი ლენინური პარტიის პოლიტიკური კურსის ერთსულოვანი, მტკიცე მხარდაჭერა წინსვლის საიმედო საწინდარია, იმის საწინდარია, რომ დასახული გეგმები განხორციელდება. ეს გეგმები განხორციელდება პარტიის ნებით, საბჭოთა ადამიანების შრომით, მათივე კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის.

დასასრულ ნება მიბოძეთ აღგითქვათ თქვენ და ყველას, ვინც დაასახელა და მხარი დაუჭირა ჩემს კანდიდატურას სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში, რომ შევეცდები გავამართლო ეს მაღალი ნდობა, რომელიც ბევრ რამეს მავალებს.

* * *

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის დროს ხშირად გაისმოდა ხანგრძლივი ტაში. საბოლოო სიტყვებს კრების მონაწილენი მქუხარე ოვაციით შეხვდნენ. დარბაზში გაისმოდა შეძახილები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის, კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის სადიდებლად.

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა, რომელიც კრების მონაწილეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს, ულრმესი ინტერესით აღიქვა მილიონობით ადამიანმა ჩვენს ქვეყანასა და მსოფლიოს მრავალ სახელმწიფოში: იგი გადაიცემოდა ცენტრალური ტელევიზიითა და „ინტერვიზიის“, „ორბიტისა“ და „აღმოსავლეთის“ სისტემებით, საკავშირო რადიოთი.

ამომრჩეველთა შეხვედრა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევთან გადაიქცა პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობის მძლავრ დემონსტრაციად, რომელმაც მკაფიოდ ცხადყო, რომ საბჭოთა ადამიანები ერთსულოვნად უჭერენ მხარს პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას და მხურვალედ ისწრაფვიან შეასრულონ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი, მეათე ხუთწლედის გეგმები. (საკდესი).

მუდამ ცხოვრების შუაგულში

ინგურჰესის პირველი ტურბინის ამუშავების წინ მშენებლობას ეწვია საქართველოში საბჭოთა ლიტერატურის დღეების მონაწილეთა ჯგუფი. მრავალათასიანი მრავალეროვანი კოლექტივის სახელით მწერლებს მიესალმა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ლენინისა და ოქ...ტომბრის რევოლუციის ორდენოსანი ვ. აბესაძე.

...ქვენი ჩამოსვლა, — თქვა წარჩინებულმა მშე...ბელმა, — ჩვენთვის დღესასწაულია. ჩვენ ვკით...ლობთ თქვენს წიგნებს, და მათგან საუკეთესონი ...თვის ცხოვრების თანამგზავრები ხდება. ახლა ...ოეული ჩვენგანი პირადად ეცნობა საყვარელ ...არმოებთა ავტორებს. ეს კი წიგნებს უფრო ახ...ობელს, მშობლიურს ხდის. ვფიქრობ, თქვენც ...ვენ გაგვიცნობთ, ასე რომ, ამგვარი შეხვედრები ...თიერთსასარგებლოა“.

...შრომელთა ფართო მასების ყურადღება, ლტო... მხატვრული ლიტერატურისადმი ჩვენი სინამდ...ის დამახასიათებელი ნიშანია. რომანი და პო...ა, ამბავი და ლექსი, მოთხრობა და პუბლიცის...რი რეპორტაჟი — სულ სხვადასხვა ჟანრის ნა...მოებები მკითხველთა ინტერესს იწვევს. მკით...ს განსაკუთრებით ახლოს მიაქვს გულთან ...ები, რომლებიც აშუქებენ ჩვენი დღეების ადა...ის საქმეებსა და მისწრაფებებს, წიგნები, რომ...შიც როგორც სკკპ XXV ყრილობაზე აღინიშ... გამოხმაურებას პოულობს ის ძირითადი, არსე...თი, რითაც ცხოვრობს ქვეყანა, რაც საბჭოთა ...მიანების პირადი ბედ-იღბლის ნაწილი გახდა. ...თი ნაწარმოების შექმნას ახმარენ შემოქმედე...ს ძალებს საბჭოეთის მწერლები.

...ხალხთან კავშირის მუდმივი განმტკიცება, თანა...დროვეს შინაგანი სამყაროს სულ უფრო ღრმა ...ღომა, მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ...ბჭოთა ინტელიგენციის ცხოვრების მართლად ...სა, მხატვრული ოსტატობის ამაღლება, ლიტე...ტორთა, მწერალთა ორგანიზაციების უპირველე... საზრუნავია.

...უკანასკნელი წლების მანძილზე კარგ ტრადი... დამკვიდრდა ლიტერატურის დღეების მოწ...ბა ოლქებში, მხარეებსა და რესპუბლიკებში. მა...ლითად, გასულ, 1978 წელს სიტყვის ცნობილ ...ტატებს მასპინძლობდნენ საქართველოს, ტაჯი...თის, უდმურტეთის, ტიუმენის, პერმის, ხერსონის, ...რიმის ოლქების მშრომელები. პროზაიკოსები, ...ტები, დრამატურგები ეწვივნენ ბაიკალ-ამურის ...ისტრალის მშენებლობას, იყვნენ ნაბერეჟნიე ჩე...ში, „ატომმანქანაში“, ციმბირისა და შორეული ...მოსავლეთის ქალაქებში. მათ კიდევ უფრო ნათ...დ იგრძნეს ქვეყნის, მისი გეგმებისა და რეალუ... მიღწევების უდიდესი მასშტაბი, ახლებურად ...ფასეს და შეამოწმეს თავიანთი შრომა. სიტყვის ...ტატებმა თავიანთი წვლილი შეიტანეს დიდმნიშვ...ლოვან პოლიტიკურ კამპანიაში — სსრ კავშირის ...მაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებაში.

...საინტერესოა მოსკოვის მწერალთა ორგანიზა...ის გამოცდილება, რომელმაც მოაწყო ლიტერა...ურის დღეები დედაქალაქის რამდენიმე რაიონ... განსაკუთრებით წარმატებით ჩაიარა ამ დღეებ... ბაუმანელებთან, სადაც ლიტერატურული დღე...ფაულის შედეგები განიხილეს მწერალთა ორგა...აციის გამგეობის პლენუმზე, რომელშიც მონა...ლეობდა რაიონის იდეოლოგიური აქტივი. შე...მავებულია სანიმუშო კომუნისტურ ქალაქად ...დაქალაქის გადაქცევაში მოსკოველ მწერალთა ...ნაწილეობის კომპლექსური გეგმა.

„შემოქმედ მუშაკთა მისწრაფება — მუდამ ტრი...ებდნენ ცხოვრების შუაგულში, — აღნიშნა ამ...ნაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა რუსეთის სფსრ მწერალ... კავშირის გამგეობის პლენუმის მონაწილეები...მი მისალმებაში 1978 წლის დეკემბერში, — ...ღრმაონ თანამშრომლობა საწარმოო კოლექტი...ბთან, უეჭველია ხელს შეუწყობს ახალი ნაწარ...ებების შექმნას დღევანდელი საქმეებისა და ადა...ანების შესახებ“.

...შრომისა და ლიტერატურის შემოქმედებითი კა...ირის ერთ-ერთი ფორმა გახდა ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალების, მწერალთა ორგანიზაციების მუდმივი კავშირი უდიდესი სამრეწველო ობიექტების მშენებლებთან, ქარხნებისა და ფაბრიკების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მშრომელებთან. შეიძლება მოვიყვანოთ ასეთი ნაყოფიერი თანამეგობრობის ბევრი მაგალითი: ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვის“ რედაქციას კავშირი აქვს სამხრეთ ტაჯიკეთის ტერიტორიული საწარმოო კომპლექსის მშენებლებთან, კიევის მწერალთა ორგანიზაციას — ქარხანა „ლენინსკაია კუზნიცას“ მუშებთან, თურქმენეთის ლიტერატორებს — მზიური მხარის მებამბეებთან... ყველა მოძმე რესპუბლიკის მწერლები მონაწილეობენ ამ კეთილშობილურ მუშაობაში, რომელიც ამდიდრებს მათ ცოცხალი შთაბეჭდილებებით, შთააგონებს შექმნან ნაწარმოებები ახალი სამყაროს მშენებელთა შესახებ.

მწერალთა ორგანიზაციებმა, რომლებიც შეძენილ გამოცდილებას ეყრდნობიან, კვლავაც უნდა სრულყონ ქალაქისა და სოფლის შრომით კოლექტივებთან კავშირურთიერთობის ფორმები. სწორი იქნება, თუ გაფართოვდება ლიტერატურის დღეების, ჟურნალების საშეფო მუშაობის, მათი ლიტერატურული საგუშაგოების საქმიანობის უშუალო მონაწილე შემოქმედ მუშაკთა წრე. აქ უწინარეს ყოვლისა უნდა ვიფიქროთ პუბლიცისტების, ნარკვევების მწერალთა შესახებ, რომლებსაც შეუძლიათ წერონ მკაფიო ოპერატიული მასალები. დაე, ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე სულ უფრო ხშირად იბეჭდებოდეს პუბლიცისტური სტატიები და ნარკვევები საჭირბოროტო პრობლემებზე, რომლებიც დაკავშირებულია დღევანდელობის ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებთან.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ცხოვრების სკოლას შემოქმედებითი ახალგაზრდობისათვის. რა ბევრი რამ ახალი შეიძლება გადაიშალოს ახალგაზრდა ავტორთა წინაშე თანატოლების — ბამის მშენებლებისა თუ ტიუმენის ნავთობმრეწველების სამყაროს წვდომის დროს! რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მწერლისათვის ჩასწვდეს ხასიათის ჩამოყალიბების, ცხოვრებისეული პოზიციის შეძენის, პიროვნების დამკვიდრების დიალექტიკას! სამწუხაროდ, ახალგაზრდა ლიტერატორები ყოველთვის მთლიანად როდი იყენებენ ხუთწლედის მშენებლობებზე ყოფნის შესაძლებლობებს, ზოგჯერ მოვლენებს ზერელედ აღიქვამენ, არ ცდილობენ გაიგონ მოვლენათა არსი, ადამიანის სულის სიღრმე.

განა საჭიროა იმის თქმა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ლიტერატორთა შემოქმედებითი და საზოგადო მოღვაწეობისათვის მწერალთა ორგანიზაციის ატმოსფეროს. უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ მხატვრული სიტყვის ოსტატები გარემოცული იყვნენ კეთილმოსურნეობისა და მომთხოვნელობის ვითარებით, ვუნერგავდეთ მწერალს თავისი შრომისათვის მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობას. საქმე ისე უნდა წარვმართოთ, რომ პრინციპული კრიტიკა და თვითკრიტიკა ხელს უწყობდეს ჩვენი ლიტერატურის იდეურ-მხატვრული დონის ზრდას, მთელი მისი ძალების შეკავშირებას. პარტიული კომიტეტების უშუალო მოვალეობაა ეხმარებოდნენ მწერალთა კავშირურთიერთობის განმტკიცებას კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან, ხელს უწყობდნენ ლიტერატურულ ორგანიზაციათა, ჟურნალების რედაქციათა, გამომცემლობების კოლექტივთა საქმიანობის გაუმჯობესებას.

საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი აღმშენებლობითი შრომა ჩვენი ქვეყნის ლიტერატორთა შთაგონების მთავარი წყაროა. კომუნისტური იდეურობის, პარტიულობისა და ხალხურობის პრინციპების ერთგული სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა იყო, არის და იქნება თავისი მაღალი მისიის — ხალხისათვის სამსახურის ღირსი. განამტკიცებენ რა კავშირს ცხოვრებასთან, საბჭოთა მწერლები შექმნიან ჩვენი გმირული დროის შესაფერ ახალ ნაწარმოებებს.

„პრავდის“ 2 მარტის მოწინავე.

ისმენდა მთელი ქვეყანა

პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა

ვეტერანთა სიტყვა

როცა ჩვენ, პარტიის ვეტერანებმა ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალში ტელევიზიით მოვისმინეთ და ვნახეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა ქალაქ მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებთან შეხვედრაზე, უდიდესი სიხარული დაგვეუფლა და სიამაყით აღვივსეთ ჩვენი მშობლიური ლენინური პარტიისათვის, მისი ბრძნული პოლიტიკის, ქვეყნად მშვიდობის დასამკვიდრებლად, ხალხის საკეთილდღეოდ დაუღალავი ზრუნვისათვის, და ყველა საბჭოთა ადამიანთან ერთად უსაზღვრო მადლიერებისა და სიყვარულის გრძნობით მივმართავთ ჩვენ პარტიას, ცენტრალურ კომიტეტს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მის მეთაურს — დიდი ლენინის საქმის ერთგულ განმგრძობს, სოციალური პროგრესის, ხალხთა მშვიდობისა და ბედნიერებისათვის გამოჩენილ მებრძოლს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს.

პარტიის ხელმძღვანელობით გრანდიოზული წარმატებანია მოპოვებული ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში. საგრძნობი წვლილი მიუძღვის ამ წარმატებებში ჩვენს რესპუბლიკასაც. უკანასკნელ წლებში საქართველოს კომუნისტებმა და ყველა მშრომელმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის უდიდესი დახმარების წყალობით, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტისა და საქართველოს პარტორგანიზაციის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა განხორციელების საფუძველზე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით თვალსაჩინო წარმატებანი მოიპოვეს სახალხო მეურნეობაში, მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებაში, ყველა მშრომელის შემოქმედებითი აქტიურობისა და ინიციატივის ამაღლების საქმეში.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის შესანიშნავი, ღრმაშინაარსიანი სიტყვა, რომელიც ხვალინდელი დღის მტკიცე რწმენით არის გამსჭვალული და მთელი საბჭოთა ხალხის ცხოვრებისა და ბრძოლის სამოქმედო პროგრამას წარმოადგენს, ჩვენ აღვიქვით როგორც უმნიშვნელოვანესი პარტიული დოკუმენტი, როგორც ახალი ფურცელი მარქსიზმ-ლენინიზმის შემდგომ შემოქმედებით განვითარებაში.

მასში ღრმად არის გაანალიზებული თანამედროვე ეპოქა, მკაფიოდ არის ასახული ჩვენი პარტიის პოლიტიკა კომუნისტური მშენებლობისა და მსოფლიო განვითარების ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხში.

ჩვენ მტკიცედ ერთგულობთ ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თანამიმდევრულ მშვიდობისმოყვარულ და ინტერნაციონალისტურ საგარეო პოლიტიკას, რომელმაც მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანის აღიარება და მხარდაჭერა პოვა. ჩვენ ვიწონებთ და მივესალმებით პარტიის საშინაო პოლიტიკას, რომელიც გამსჭვალულია იმისათვის ზრუნვით, რომ კიდევ უფრო განმტკიცდეს ჩვენი სამშობლოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერება, გაუმჯობესდეს საბჭოთა ხალხის კეთილდღეობა, აყვავდეს სოციალისტური დემოკრატია და სახალხო ხელისუფლება სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის დროშით.

ჩვენ ერთსულოვნად ვიწონებთ მტკიცე გაფრთხილებას, რომლითაც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა მიმართა პეკინელ აგრესორებს, ყაჩაღურად რომ შეესივნენ მშვიდობიანი მოძმე ვიეტნამის მიწა-წყალს და ახალი მსოფლიო ომის გაჩაღება სწადიათ, მოვითხოვთ დაუყოვნებლივ გაიყვანონ თავისი ჯარები ვიეტნამიდან.

მთელს ჩვენს ენერგიას, გულის მთელ მხურვალებას მოვახმართ ჩვენი ხალხის სახელოვანი რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციების პროპაგანდას, სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებას, ჩვენი ახალგაზრდობისა და მოზარდი თაობისათვის კომუნისტური იდეურობის ჩანერგვას.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის, პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის — ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის კურსი ლენინური კურსია. უდიდეს ბედნიერებად ვრაცხთ თავს ვიბრძოდეთ, ვცხოვრობდეთ და ვშრომობდეთ განვითარებული სოციალიზმის საზოგადოებაში, ქვეყანაში, რომელიც მთელ კაცობრიობას უკვალავს ნათელი მომავლის გზას.

სკკპ წევრები 1917 წლიდან დ. ლომაძე, შ. რუხაძე, შ. ხასაია, ს. თარხანიშვილი, გ. მირიანაშვილი, ა. სურგულაძე, გ. ლაბაძე, სკკპ წევრები 1918 წლიდან გ. დუმბაძე, ა. ბოგველაძე, პ. აბდურახმანოვი და სხვები.

(საქინფორმი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

2 მარტს მოსკოვის კავშირების სახლში გაიმართა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მორიგი სხდომა, რომელზეც განიხილეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალი არჩევნების ჩატარების საკითხები.

სხდომაზე მოხსენება არჩევნებისათვის მზადების დამთავრებისა და კენჭისყრის ჩასატარებლად საარჩევნო კომისიათა მზადყოფნის შესახებ გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ ა. ი. შიბაევმა. ამ საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ კომისიის წევრები ო. კ. ვრაბი, ა. ა. ეპიშევი, ი. ზ. სოკოლოვი, აგრეთვე რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ხ. პ. ნეშკოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შედეგების მონაცემების გამოქვეყნების წესის თაობაზე ინფორმაცია გააკეთა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანმა ი. ვ. კაპიტონოვმა.

კომისიამ მოისმინა სსრ კავშირის კავშირგაბმულობის მინისტრის ნ. ვ. ტალიზინის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კავშირგაბმულობის ორგანოები მზად არიან ხმის მიცემის მიმდინარეობისა და არჩევნების შედეგების მონაცემების მიღება-გადაცემისათვის.

საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა, საარჩევნო კომისიებმა, შესაბამისმა სამინისტროებმა და უწყებებმა საარჩევნო კამპანიის მსვლელობაში დიდი მუშაობა გასწიეს. არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებული ყველა ღონისძიება განხორციელდა დროულად, სსრ კავშირის კონსტიტუციისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონის სრული შესაბამისობით. ამჟამად საარჩევნო კომისიები ყველგან მომზადებული არიან კენჭისყრის ჩატარებისათვის, ისინი უზრუნველყოფილი არიან საარჩევნო ბიულეტენებითა და სხვა საარჩევნო დოკუმენტაციით, კავშირგაბმულობის საშუალებებით, ტრანსპორტით. მომზადებული და სათანადოდ მოწყობილია ხმის მისაცემი შენობები. გათვალისწინებულია ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფს საჭირო პირობებს არჩევნებში ამომრჩეველთა მონაწილეობისათვის, რომლებიც იქნებიან გზაში, სამეცნიერო ექსპედიციებში, გეოლოგიურ და საძიებო პარტიებში, პოლარულ და ჰიდრომეტეოროლოგიურ სადგურებში.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გამოთქვა რწმენა, რომ 1979 წლის 4 მარტს საბჭოთა ადამიანები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში აქტიური მონაწილეობით, კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებისათვის ერთსულოვანი ხმის მიცემით კვლავ ცხადყოფენ ურყევ ერთგულებას პარტიის საქმისადმი, მტკიცე გადაწყვეტილებას კვლავაც შეუპოვრად იბრძოლონ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის.

განხილულ საკითხებზე კომისიამ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

კომისიის სხდომაში მონაწილეობდნენ მთელი რიგი ცენტრალური ორგანიზაციების, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, საბჭოთა საზოგადოებრიობის, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლები. (საკდესი).



სურათებზე: პარტიის ვეტერანები (ზევით) და თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეები (ქვევით) უყურებენ და უსმენენ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლას მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინაშე.

გ. კიკვაძის (საქინფორმის ფოტოქრონიკა) და ვლ. გინზბურგის („კომუნისტი“) ფოტო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს სსრ საარჩევნო კომისიაში

1 მარტს თბილისში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს სსრ საარჩევნო კომისიის სხდომა.

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ გ. ნ. კურტანიძემ.

შემდეგ გამოვიდნენ საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე ი. ბ. გამრეკელი, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრი ვ. ი. კობახიძე, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრი თ. ნ. დავითაშვილი, საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის პირველი მოადგილე გ. ლ. ქობლიანიძე, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე კ. ნ. შავიშვილი, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი კ. ე. კეთილაძე, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს უფროსი ე. გ. გიორგაძე, საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარი საწარმოო სამმართველოს უფროსის მოადგილე ი. ბ. მამალაძე, ჩოხატაურის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ს. ზ. ცინცაძე, ონის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე დ. პ. მეტრეველი, ორჯონიკიძის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ე. დ. ბერიძე, რომლებმაც ილაპარაკეს ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნების მოწყობისათვის მზადყოფნის შესახებ. მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ყველაფერი კეთდება, რათა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები მაღალ ორგანიზაციულ და იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩატარდეს.

რესპუბლიკურმა კომისიამ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს დაავალა უზრუნველყოს არჩევნების დღეს ამომრჩეველთა კულტურული მომსახურება, ხელოვნების ოსტატთა, მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივებისა და ბრიგადების გამოსვლები. რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრომ უნდა განახორციელოს ღონისძიებანი არჩევნების დროს სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირგაბმულობის შეუფერხებელი მუშაობისათვის, უზრუნველყოს 4 მარტს ცნობების ზუსტი და დროული გადაცემა. სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს დაევალათ ჯეროვნად გააფორმონ და გააწყონ საარჩევნო უბნების შენობები, შეუქმნან ამომრჩევლებს ყველა პირობა ფარული კენჭისყრის უფლების განხორციელებისათვის.

არჩევნების დღეს ამომრჩეველთა სავაჭრო მომსახურების უზრუნველყოფა დაევალათ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და ცეკავშირის გამგეობას. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა შესაბამის უწყებასამინისტროებთან ერთად უნდა განახორციელონ ღონისძიებანი სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფად, საარჩევნო უბნების საავტომობილო ტრანსპორტით მომსახურებისათვის.

სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა რესპუბლიკური კომისიის მდივანმა ს. ე. ხაბეიშვილმა.

მოილხინოს, გაიხაროს, მთელმა თბილის ქალაქმა!

თბილისელებს ალბათ კარგად ახსოვთ გასული წლის შემოდგომაზე, რთვლიანობისას დედაქალაქის ქუჩებსა და მოედნებზე ყურძნისა და ხილის რა სურნელი დადგა! კახეთის ზვრებისა და მარნების ბარაქითა და სიტკბოთი როგორ გაიხარეს და მოილხინეს თბილისელებმა.

ბევრი თბილისელი კმაყოფილებასა და აღფრთოვანებას ვერ მალავდა, გულით ლოცავდა მეზვრეებს, მემარნეებსა და ამ კარგი საქმის მოთავეებს. კალათებით, ყუთებით, მიჰქონდათ ქარვისფერი ყურძენი და ხელადებით — შუშხუნა მაჭარი. იმ დღეებში ზვრებისა და მარნების სადიდებელი სიმღერა ასე ძალუმად იგრძნობოდა დედაქალაქში, თბილისელთა ოჯახებში. რა იქნება ტრადიციად იქცეს ეს კარგი წამოწყებაო! — ამბობდნენ ისინი.

ეს-ეს არის ნაზამთრმა ბუნებამ გაიღვიძა... და აი, ტრადიცია გრძელდება! საქართველოს სოფლის მშრომელები თავიანთ ჰირნახულს, ჩვენი მიწის ხვავსა და ბარაქას სადღესასწაულოდ — სარვამარტოდ სთავაზობენ დედაქალაქელებს, რომ მოილხინოს და გაიხაროს მთელმა თბილის ქალაქმა!

სოფლის ხვავი და ბარაქა.

ზ. დათუაშვილის ფოტო.

მაშ ასე, სადღესასწაულოდ,

ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგრარულ-სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანება თბილისის ქუჩებში 3-7 მარტს აწყობენ ხილის, ბოსტნეულის, კარტოფილის, სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციის მასობრივ გაყიდვას.

თბილისელებსა და დედაქალაქის სტუმრებს დიდი ასორტიმენტით შესთავაზებენ საუკეთესო ვაშლს, ყურძენს, ხახვს, ნიორს, სუფრის მწვანილს, სხვა ბოსტნეულს. მსურველები შეძლებენ შეიძინონ აგრეთვე ვაშლის, მსხლის, ატმის, ალუჩის, ტყემლის, ქლიავის, სხვა ხეხილისა და ვაზის ნამყენი ნერგები.

„სალუტ-6“ — „სოიუზ-32“

ორბიტის კორექცია

ფრენის მართვის ცენტრი, 1 მარტი. (საქდესი). კოსმონავტები ვლადიმერ ლიახოვი და ვალერი რიუმინი განაგრძობენ მუშაობას „სალუტ-6“-„სოიუზ-32“ ორბიტულ სამეცნიერო-კვლევითს კომპლექსში.

დღეს ეკიპაჟმა შეამოწმა ცალკეული საბორტო სისტემები, ხელსაწყოები, სამეცნიერო აპარატურის პულტები, შესრულდა ხელის ორიენტაციის რეჟიმით სადგურის მართვის სისტემის ქმედუნარიანობის შემოწმების ტექნიკური ექსპერიმენტი.

დღის მეორე ნახევარში მოეწყო ორბიტული კომპლექსის მოძრაობის ტრაექტორიის კორექცია „სოიუზ-32“ ხომალდის ძრავის დანადგარის გამოყენებით.

კორექციის შემდეგ „სალუტ-6“-„სოიუზ-32“ პილოტირებული კომპლექსის ორბიტის პარამეტრებია:

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან — 338 კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან — 308 კილომეტრი;

— გარშემოვლის პერიოდი — 90,9 წუთი;

— ორბიტის დახრილობა — 51,6 გრადუსი.

ეკიპაჟის მოხსენებებისა და ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებით, სადგურისა და ხომალდის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს.

ვლადიმერ ლიახოვი და ვალერი რიუმინი თავს კარგად გრძნობენ.

ფრენა მიმდინარეობს დაგეგმილი პროგრამის შესაბამისად.

მიწისძვრა საქართველოში

2 მარტს თბილისში, 19 საათსა და 35 წუთზე ადგილობრივი დროით მოხდა მიწისძვრა, რომლის სიძლიერე 3-4 ბალს შეადგენდა. მიწისძვრას შენობა-ნაგებობათა არავითარი ნგრევა არ მოჰყოლია.

— მიწისქვეშა ბიძგის ეპიცენტრი მდებარეობდა რესპუბლიკის დედაქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით 108 კილომეტრზე, საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვარზე — აღსტაფა-წითელწყაროს მიდამოებში, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს კ. **ცხომელიძეს** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის რეგიონული სეისმოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელმა, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ო. **გოცაძემ**. — მიწისძვრა გამოიწვიეს ბუნებრივმა ტექტონიკურმა პროცესებმა, რომლებიც დღესაც გრძელდება კავკასიაში. წინასწარი მონაცემებით, ეპიცენტრში მიწისძვრის სიძლიერე 5-6 ბალს შეადგენდა (საქინფორმი).

ბრძოლა წინ არის

ბუქინ ტაშკენტში დამთავრდა უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრე, რომლის შედეგებმაც საბოლოოდ გაარკვია პირველ-მეექვსე ადგილებზე გასული გუნდების ვინაობა, რომლებიც მეორე წრეში განაგრძობენ მედლებისათვის ბრძოლას. სასიხარულოა ის ფაქტი, რომ თბილისის დინამოელებმა შეძლეს საუკეთესოთა ექვსეულში ფეხის მოკიდება და ვიფიქროთ, რომ მეორე წრეში უძლიერესთა შორის უკეთესი შედეგებისათვის უშურველად იბრძოლებენ. ეს უფლება თბილისის დინამოელებმა ბოლო ტურში ტაშკენტის „...ნატთან“ მატჩის ფრედ (7...) დამთავრების შედეგად მოიპოვეს.

პირველ ექვსეულში გუნდები ასე განლაგდნენ: მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდი — 25 ქულა, სამხედრო-საზღვაო ფლოტის სპორტკლუბი — 23, მოსკოვის „დინამო“ — 23, კიევის „დინამო“ — 1..., თბილისის „დინამო“ — 1..., კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის გუნდი (ბაქო) — 14 ქულა.

ჭადრაკის დაფებთან

ტალინში გრძელდება გამოჩენილი საბჭოთა მოჭადრაკის პაულ კერესის მემორიალი. ხუთი ტურის შემდეგ 3,5-3,5 ქულა აქვთ მ. ტალს (სსრ კავშირი), რ. კნააკს (გდრ) და ი. ლეხტინსკის (ჩეხოსლოვაკია). აღსანიშნავია ისიც, რომ ტალმა ხუთი ტურიდან მხოლოდ 4 პარტია ითამაშა.

დუბნაში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის მეცხრე ტურის შემდეგ გათამაშების ლიდერები არიან საბჭოთა მოჭადრაკეები ი. რაზუვაევი და ა. სუეტინი (6-6 ქულა). მათ თითო ქულით ჩამორჩებიან ი. ზაიცევი (სსრ კავშირი) და ი. პლახეტკა (ჩეხოსლოვაკია).

ფეხბურთის ამბები

ბულგარეთის ოლიმპიურმა ნაკრებმა ამხანაგური შეხვედრა გამართა ზეგასში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პირველ ნაკრებთან. გაიმარჯვეს ოლიმპიელებმა — 1:0.

ბურსაში თურქეთის ნაკრებმა მიიღო ალჟირის გუნდი. ალჟირელებმა მასპინძლები დაამარცხეს ანგარიშით 1:0.

რედაქტორი გ. ბედინეიშვილი

◆ **ფოთის** ნავსადგურის რაციონალიზატორებმა სიცოცხლე გაუხანგრძლივეს ჩამოსაწერ მცურავ ამწეს. მიღებული წლიური ეკონომიკური ეფექტი 28 ათას მანეთს მიაღწევს. ნავსადგურის ნოვატორმა მუშაკებმა, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებიან დევიზით „ტექნიკური სიახლე — ხუთწლედის სამსახურში“, მარტო შარშან 154 ათასი მანეთი დაზოგეს.

◆ **აბაშის** რაიონის სოფელ პირველი მაისის კოლმეურნეობაში მწყობრში ჩადგა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების ტექნიკური მომსახურების სადგური. მას აქვს სარემონტო საამქრო, დიაგნოსტიკის ლაბორატორია, მწყობრიდან გამოსული კვანძებისა და დეტალების გამოსაცვლელი პუნქტები.

ასეთივე სადგური ამუშავდა სოფელ მეორე ანჯეშის კოლმეურნეობაში.

წლის დამლევამდე რაიონში ამუშავდება მძიმე ტრაქტორების შესაკეთებელი ქარხანა.

◆ **კარგი** სტარტი აიღეს ახალ წელს ბოგდანოვკის რაიონის მეცხოველეებმა. თვე-ნახევარში მისმა მეურნეობებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 1400 ტონა რძე, რაც 140 ტონით მეტია გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

ამ საქმეში წარმატებებს მიაღწიეს სოფლების ჯიგრაშენის, ჟდანოვისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობათა ფერმებმა, რომლებმაც ერთიორად გაადიდეს რძის წარმოება.

ჩემი რესპუბლიკა: კეთილი საქმეები

მხოლოდ ფაქტები

◆ **აბაშის** რაიონში დაცულ გრუნტში ხახვის რგვას პირველად შეუდგნენ სოფელ კეთილარის კოლმეურნეები. აფსკქვეშ სადრეო ბოსტნეულს თესავენ აგრეთვე მარნისა და სამიქაოს კოლმეურნეობებში.

ერთდროულად რაიონში გაიშალა მუშაობა ღია გრუნტში ბოსტნეულის გადარგვისათვის. უკვე მოხნეს 840 ჰექტარი ფართობი, საჭირო დოზით შეიტანეს ორგანულ-მინერალური სასუქები.

◆ **სრულიად** გამოიცვალა უკანასკნელ წლებში რაიონული ცენტრი ახალციხე. სახელდახელოდ აშენებული სახლები შეცვალა მრავალსართულიანმა კეთილმოწყობილმა საცხოვრებელმა სახლებმა, საზოგადოებრივმა შენობებმა, ქალაქში გაყვანილია ლარივით სწორი ქუჩები. ახალციხე კიდევ უფრო დაამშვენა მესხეთის თეატრის შენობამ და მის გვერდით ამართულმა კავშირგაბმულობის სახლმა. ასობით ახალციხელი ჩასახლდა ახალ რვა და ხუთსართულიან საცხოვრებელ სახლებში.

დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს რაიონული საავადმყოფოს კომპლექსის, გორის ბამბეულის კომბინატის ფილიალის მშენებლობა. გარდა ამისა, ქალაქში შენდება ორი 60-ბინიანი და სამი 40-ბინიანი საცხოვრებელი სახლები, ავტოსადგომი, საყოფაცხოვრებო სახლი. ეს ახალმშენებლობანი მწყობრში უნდა ჩადგეს მიმდინარე წლის მეორე ნახევარში.

◆ **ჩხოროწყუს** რაიონის მკვიდრი 200-ზე მეტი სტუდენტი სწავლობს ამჟამად რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში. თითქმის ყველა ისინი შეიკრიბნენ ამ დღეებში რაიონული კულტურის სახლში საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან ტრადიციულ შეხვედრაზე. (საქინფორმი).

სპარტაკიადიდან ოლიმპიადამდე

წინსვლის ტენდენცია

კრივი

სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისთვის სამზადისი საქართველოს მოკრივეთა ნაკრებმა გუნდმა დიდი ხანია დაიწყო — დაახლოებით 1977 წლის დამდეგიდან. მაგრამ ორი წლის წინათ ყურადღება უმთავრესად გამახვილებული იყო ორგანიზაციულ საკითხებზე, რაც ნიშანდობლივია გრძელვადიანი მზადების პირველი პერიოდისთვის. დღეს კი, როცა ნაკრების წვრთნა გადამწყვეტ ფაზაში შევიდა და შესაძლებელი გახდა სასპარტაკიადო დავალებათა კონკრეტული შემოწმება, პირდაპირ უნდა ვთქვათ — ორგანიზაციულმა პერიოდმა ნაყოფიერად ჩაიარა და ერთობ სასურველი შედეგიც გამოიღო.

სხვას რომ თავი დავანებოთ, დღეს, მოკრივეთა ტურნირის დაწყებამდე ხუთი თვით ადრე, უკვე შეიძლება ლაპარაკი ნაკრების გუნდის კონტურებზე, მის სარეზერვო შემადგენლობაზე, მწვრთნელთა შორის ფუნქციების თანაბარ განაწილებაზე, წვრთნის ერთიან გრაფიკსა და მის მიმდინარეობაზე. ერთი სიტყვით, კარგა ხანია, რაც ნაკრების წვრთნა სასწავლო პროცესმა მიზანდასახული და გეგმაზომიერი სახე მიიღო.

და მაინც, მზადების ამ ეტაპზეც კი, როცა სპარტაკიადის მაჯისცემა ასე გამოკვეთილად ისმის, პროგნოზებზე საუბარი მიზანშეუწონელია თუნდაც იმიტომ, რომ პოტენციურ მეტოქეებზე სწორი და ამომწურავი ინფორმაცია არ გაგვაჩნია. ვიცით მხოლოდ და ისიც წარსული გამოცდილების საფუძველზე, რომ სპარტაკიადის ფინალურ ტურნირს მომზადებული შეხვდებიან რუსეთის ფედერაციის, უზბეკეთის, უკრაინის, მოსკოვისა და ყაზახეთის მოკრივეები. ეს სია შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს (თუმცა მეორე ვარიანტი ნაკლებად რეალურია).

სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაში საქართველოს მოკრივეებს მერვე გუნდური ადგილი ხვდათ. ობიექტურად ეს არც ისე სახარბიელო შედეგია, თუმცა ისიც გვახსოვს, რომ V სპარტაკიადაში რესპუბლიკის მოკრივეთა ნაკრებმა ბოლოსწინა, მეთექვსმეტე ადგილი დაიკავა. ე. ი. წინსვლის ტენდენცია უკანასკნელი სპარტაკიადის შედეგებითაც შეინიშნება.

გარდა ამისა, დაახლოებით ამ პერიოდს ემთხვევა ნაკრების შემადგენლობის მკვეთრი გადახალისება, რამაც მოგვიანებით დადებითი შედეგი მოგვცა. დაგვერწმუნებით ალბათ, რომ დ. კვაჭაძის ა. ხიზანიშვილის ან კიდევ მ. თაქთაქიშვილის მსგავსი ოსტატები მწირ ნიადაგზე ვერ გაიზრდებოდნენ. მათი მოსვლა დიდ სპორტში ობიექტურმა ფაქტორებმა განაპირობა, რასაც თამამად შეიძლება ვუწოდოთ კრივის თვისებრივი ზრდის ტენდენცია.

ზემოჩამოთვლილი სამეული დღესაც სასპარტაკიადო გუნდის ძირითად ბირთვს, მის წამყვან და განმსაზღვრელ ძალას წარმოადგენს, რომელსაც, დარწმუნებული ვართ, მხარს დაუმშვენებს ახალგაზრდობა.

მაგრამ ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს. მით უმეტეს, რომ მოკრივეთა გუნდის შემადგენლობა თერთმეტი სპორტსმენით განისაზღვრება. ესეც არ იყოს, ჩვენ შორს ვართ იმის მტკიცებისაგან, თითქოს ქართული კრივის წინაშე აღარ იდგეს პრობლემები და სპარტაკიადის სარბიელზე წარმატებით გამოსვლა მხოლოდ მოკრივეებისა და მწვრთნელების ნება-სურვილზე იყოს დამოკიდებული: მოვინდომებთ—შედეგიც იქნება, არა და...

მონდომება დღევანდელი ოპტიმიზმის ერთ-ერთი საფუძველია. თან, როგორ გგონიათ, ვისი მონდომება? რა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა სპორტსმენების და მწვრთნელებისა, ამავე დროს, თბილისის უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლისა, რომლის ბაზაზეც ვარჯიშობს ნაკრები, და, ცხადია, სპორტკომიტეტისაც. მონდომება, ყურადღება, მხარდაჭერა და კონტროლი.

მაგრამ განა მხოლოდ ეს განსაზღვრავს კრივის დღევანდელ მდგომარეობას რესპუბლიკაში? რამდენიმე საკვანძო პრობლემის გამოყოფა, რომლებსაც, მართალია, უშუალო კავშირი არა აქვს სასპარტაკიადო თემასთან, მაგრამ მნიშვნელოვანწილად განაპირობებს სპორტის ამ სახეობის ავკარგს, ახლავე შეიძლება. ეს გახლავთ მასობრივი კრივისა და მისი პროპაგანდის მდგომარეობა, ბაზებისა და შეჯიბრებათა კალენდრის სიმჭიდროვის საკითხი; ეს გახლავთ კრივის მწვრთნელთა კვალიფიკაცია, სწავლების მეთოდიკა სპორტულ საზოგადოებებში, საწარმო-დაწესებულებებში, უმაღლეს სასწავლებლებში, სკოლებში; ეს გახლავთ კრივის განვითარების დღევანდელი დონე რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში.

იყო დრო, საქართველოს მოკრივეები გუნდურ პირველობას იგებდნენ საკავშირო ჩემპიონატში. მაშინ კრივი ახალგაზრდობის საყვარელ სპორტად ითვლებოდა და თბილისის არც ისე მრავალრიცხოვან ბაზებზე ხალისიანი სპორტული ცხოვრება ჩქეფდა. სწორედ ამან განაპირობა ორმოციანი და ორმოცდაათიანი წლების მოკრივეთა წარმატებები დიდ რინგზე. სწორედ ამან შეუქმნა პოპულარობა და ავტორიტეტი საქართველოს მოკრივეთა სახელოვან პლეადას.

სწორედ ამიტომ, მასშტაბურად თუ მივუდგებით ამ სახეობის სადღეისო პრობლემებს, მთავარ მიზნად უნდა დავისახოთ ტრადიციების აღდგენა მასობრივი კრივის, მოთხოვნათა შესაბამისად. და როცა მიზანსაც მივაღწევთ, უფრო მტკიცე რწმენით დაველოდებით ნებისმიერი დიდი ტურნირის შედეგებს. მაშინ, ალბათ, იმის საშუალებაც მოგვეცემა, რომ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები ოლიმპიური გუნდის შემადგენლობაში ვიხილოთ.

ნ. გუგუშვილი.

სასურველი შედეგების მოლოდინში

მასობრიობა სპორტის ყველა სახეობის რეალური და მყარი საფუძველია. კრივი გამონაკლისი არ არის. მასობრიობა კი ბავშვთა სპორტიდან იწყება. თბილისში უსათუოდ უნდა გაიხსნას ბავშვთა სპეციალიზებული სპორტული სკოლა, ისეთი როგორიც კარგა ხანია ფუნქციონირებს მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, ერევანში და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში.

მასობრივი კრივი, ამავე დროს, ბაზების ქსელის გაფართოებასა და შეჯიბრებების სიმრავლესაც გულისხმობს. თბილისში კრივის სულ სამი დარბაზია. მილიონიანი ქალაქისათვის ეს, რა თქმა უნდა, არ არის საკმარისი. ამავე დროს ყურადღება უნდა მივაქციოთ დარბაზების აღჭურვას ხარისხიანი სპორტინვენტარით, ურომლისოდაც ტექნიკური მოკრივის აღზრდა ძნელია.

ახლა კი ორიოდე სიტყვა საქართველოს ნაკრებზე, რომელიც სპარტაკიადისათვის ემზადება. ჩემი ღრმა რწმენით შემადგენლობა თანაბარი ძალისაა (ქვესაშუალო და მძიმე წონის გარდა), სპორტსმენებსა და მწვრთნელებს არ აკლიათ მონდომება, სურვილი, მიზანსწრაფულობა. სასურველ შედეგებს უნდა ველოდეთ.

ა. ნავასარდოვი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

შეტევა



ა. კოტორაშვილის ფოტო.

გამონაკლისი — V ოლიმპიადა

1904 წლის მესამე ოლიმპიადიდან (სენტ-ლუისი) კრივი ყოველთვის იყო ოლიმპიურ ასპარეზობათა პროგრამებში (გამონაკლისია მხოლოდ V ოლიმპიადა, 1912 წელი, სტოკჰოლმი). 1946 წელს შექმნილი კრივის მოყვარულთა ფედერაცია (აიბა) შეჯიბრებებს მართავს 11 წონითს კატეგორიაში (48, 51, 54, 57, 60, 63,5, 67, 71, 75, 81 კილოგრამამდე და 81 კილოგრამს ზევით წონებში).

არქივარიუსის ჩანაწერები

საქართველოს მოკრივეთა შედეგები

II სპარტაკიადა (1959 წელი). ჯ. კვანტალიანი (ქვემსუბუქი წონა) და ს. ჩატულიდი (მსატე) — II ადგილები, რ. აკოფოვი (მეორე საშუალო) — III ადგილი.

III სპარტაკიადა (1963 წელი). ნ. ქიქავა (უმჩატესი) — III ადგილი.

VI სპარტაკიადა (1975 წელი). ი. გოროდილოვი (პირველი საშუალო) — II ადგილი, ვ. ულიანიჩი (მძიმე) — III ადგილი.

საქართველოს მოკრივეთა გუნდური შედეგები სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებზე ასეთი იყო: 1956 წელს — XII ადგილი, 1959 წელს — VII, 1963 წელს — VIII-IX, 1967 წელს — XI, 1971 წელს — XVI, 1975 წელს — VIII ადგილი.

ოლიმპიადებში საქართველოს მოკრივეებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

საქართველოს ტელევიზიის ერთი კვირის პროგრამა

5 მარტი

პირველი პროგრამით. 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 17.00 — მულტიპლიკაციური ფილმი, 17.30 — განცხადებები (ფ.), 17.35 — აბიტურიენტთათვის — ბიოლოგია, 18.05 — „ჩუმლაყურები მსჯელობენ“ (კოლმეურნეობის საანგარიშო კრებაზე), 18.25 — კონცერტი, 19.00 — „ვესტნიკი“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 19.30 — მულტიპლიკაციური ფილმი, 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — რუსთაველის პრემიის ლაურეატი, ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „თუში მეცხვარე“, II სერია (ფ.), 21.05 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 21.35 — საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის ყრილობის შესახვედრად, (ფ.), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — რუსთაველის პრემიის ლაურეატი, მხატვრული ფილმი „თუში მეცხვარე“, III სერია. (ფ).

მეორე პროგრამით. 18.00 — მოსწავლეთათვის — საქართველოს ისტორია (ფ.), 18.45 — განცხადებები (ფ.), 18.50 — კინონარკვევი, 19.10 — მულტიპლიკაციური ფილმი, 19.40 — მხატვრული ფილმი „ბერგამოელი ტრუფალდინო“, I სერია (ფ.), 20.45 — საესტრადო კონცერტი. 21.20 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ასეთი განსხვავებული ხასიათები“.

6 მარტი

პირველი პროგრამით. 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 17.00 — აბიტურიენტთათვის — ქართული ენა (ფ.), 17.30 — შევისწავლოთ ინგლისური ენა, 18.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის თასზე. „დინამო“ (თბილისი) — „ზარია“ (ვოროშილოვგრადი). შესვენების დროს კინოჟურნალი, 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — მულტიპლიკაციური ფილმი, 20.10 — „საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულნი“ — ტყვიავის კოლმეურნეობა. 20.25 — საესტრადო კონცერტი (ფ.), 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 21.30 — „ჩვენი სტუმრები“, — ჩინგიზ აიტმატოვი (ფ.), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — სატელევიზიო მუსიკალური დადგმა „შეხედეთ მზეს, ის თვით სამხმოვანებაა“ (ფ.),

მეორე პროგრამით. 18.00 — მასწავლებლის საათი — ქართული ენა (ფ.), 18.45 — განცხადებები (ფ.), 18.50 — რუსული სკოლების მეათე კლასელთათვის — ფიზიკა (ფ.), 19.35 — მხატვრული ფილმი — „ბერგამოელი ტრუფალდინო“, II სერია (ფ.), 20.40 — კინონარკვევი, 21.00 — კონცერტი, 21.45 — დოკუმენტური ფილმი — „რესპუბლიკა ბაიკალის მიღმა“ (ფ.),

7 მარტი

პირველი პროგრამით. 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 16.55 — აბიტურიენტთათვის — მათემატიკა (ფ.), 17.25 — შევისწავლოთ გერმანული ენა, 17.55 — **ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება.** ტრანსლაცია საბჭოთა კავშირის დიდი აკადემიური თეატრიდან, 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „ბავშვის საერთაშორისო წელი“ — დოკუმენტური ფილმი „ერთნახევარი მილიარდი ბავშვი“. პრემიერა (იუნესკო მ.), 20.50 — მულტიპლიკაციური ფილმი, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 21.30 — სპორტული მიმოხილვა, 22.00 — „ვრემია“— საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — „იავნანა“ — სატელევიზიო ჟურნალი ქალბისათვის (ფ.),

მეორე პროგრამით. 18.00 — მოსწავლეთათვის — მათემატიკა. (ფ.), 18.45 — განცხადებები (ფ.), 18.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „შორეული ახლობელი“ (ფ.), 19.20 — მასწავლებლის საათი — ბიოლოგია (ფ.), 19.50 — ქართული მხატვრული ფილმი — „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“ (ფ.), 21.10 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები — „ფიქრები“, და „ქალიშვილები ჩირბოგიდან“.

8 მარტი

პირველი პროგრამით. 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — მულტიპლიკაციური ფილმები, 10.10 — სატელევიზიო მუსიკალური ფილმი „ჩემი კარმენი“ (ფ.), 11.10 — „ვულოცავთ დედებს“ (მ.), 11.25 — „პოეტები — ქალებს“ (მ.), 12.05 — კონცერტი „აჩუქე დედას სიმღერა“ (ფ.), 12.35 — მულტიპლიკაციური ფილმები, 13.20 — ბავშვებისათვის — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მთელი ქვეყნის მალულად“. I და II სერია (მ.), 15.25 — „ქალის სახე ეკრანზე“, 16.10 — მულტიპლიკაციური ფილმი, 16.25 — „აბა, გოგონებო!“ (მ.), 18.10 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი — „მე ვარ ლუბა ნიჟარაძე“ (ფ.), 18.35 — „ახალგაზრდული შეხვედრები“ (ფ.), 19.35 — მუსიკალური ფილმების სატელევიზიო ფესტივალი. „სიმღერა ეკრანზე“. ქართული მხატვრული ფილმი „შეხვედრა მთაში“ (ფ.), 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 21.30 — ლირიული კონცერტი (ფ.), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — „ცისფერი ეკრანი“ (მ.),

მეორე პროგრამით. 18.00 — ბავშვებისათვის კონცერტი. (ფ.), 18.35 — მულტიპლიკაციური ფილმები, 19.00 — კონცერტი, 19.40 — მხატვრული ფილმი — „სალუტ, მარია.“ I და II სერია. 21.50 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „საუბარი ვერიკო ანჯაფარიძესთან“.

9 მარტი

პირველი პროგრამით. 09.00 „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გაზაფხულიდან გაზაფხულამდე“, 10.00 — შევისწავლოთ რუსული ენა (ფ.), 10.30 — „ბავშვებს ცხოველების შესახებ“ (ლენინგრადიდან), 11.00 — „თქვენთვის, მშობლებო!“ (მ.), 11.30 — ტელეკურსელთათვის — ქართული ენა (ფ.), 12.00 — „დილის ფოსტა“ — მუსიკალური პროგრამა (მ.), 12.30 — „ცეროდენას ეკრანი“ (ფ.), 13.00 — „ჯანმრთელობა“ — სატელევიზიო პროგრამა, 13.35 — მოსწავლეთათვის „რეპეტიტორი“. მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრის სპექტაკლი (ფ.), 15.55 — „ხუთწლედი, წელი მეოთხე“, 16.40 — „კინოს მოყვარულთათვის“, 18.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის თასზე. „დინამო“ (თბილისი) — „ტორპედო“ (ქუთაისი). შესვენების დროს — კინოჟურნალი, 19.45 — „საერთაშორისო დღიური“, 20.00 — „კინოაფიშა“, 20.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 21.05 — მინიატიურების სატელევიზიო თეატრი „ცამეტი სკამი“ (მ.), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — მუსიკალური ფილმების სატელევიზიო ფესტივალი „სიმღერა ეკრანზე“.

მეორე პროგრამით. 17.00 — გასართობი კინოპროგრამა, 18.00 — მხატვრული ფილმი — „თეთრი ხომალდი“ (ფ.), 19.35 — „ქართული თეატრის წარსულიდან“ (განმეორებით), 20.10 — კინოჟურნალი „ვარსკვლავა“ № 23, 21.05 — მულტიპლიკაციური ფილმი, 21.30 — კონცერტი.

10 მარტი

პირველი პროგრამით. 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მთები, მთები“ (ფ.), 10.00 — შევისწავლოთ ქართული ენა (ფ.), 10.30 — „მაღვიძარა“ (მ.), 11.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გულუხვობა“ (უკრაინისა და საქართველოს ტელევიზიის ერთობლივი ნაწარმოები), 11.50 — მულტიპლიკაციური ფილმი, 12.00 — „სტუმრად ზღაპართან“. მხატვრული ფილმი „სამი ბლენძი“ (მ.), 13.30 — „თბილისი და თბილისელები“ (ფ.), 14.00 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „პირველი კონცერტი (ფ.), 14.30 — „მუსიკალური კიოსკი“ (მ.), 15.00 — „სპორტლოტოს“ ტირაჟი (მ.), 15.15 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ქუთაისი, ხარისხის ხუთწლედი“ (ქართულ ენაზე), 15.30 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 16.20 — მულტიპლიკაციური ფილმი, 16.30 — „შეხვედრა გამარჯვებულებთან“ (ფ.), 17.30 — „კინომოგზაურობის კლუბი“ (მ.), 18.30 — მულტიპლიკაციური ფილმები, 19.00 — „საერთაშორისო პანორამა“ (მ.), 19.45 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ინჟინრები“ (პრემიერა ფ.), 20.25 — კონცერტი, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა. (ფ.), 21.30 — საესტრადო კონცერტი (ფ.), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — მუსიკალური ფილმების სატელევიზიო ფესტივალი „სიმღერა ეკრანზე“, სატელევიზიო ფილმი „ორერა სრული სვლით“. (ფ.),

მეორე პროგრამით. 17.00 — მულტიპლიკაციური ფილმები, 17.45 — დოკუმენტური ფილმი, 18.45 — მოსწავლეთათვის „სატურნი“ (განმეორებით, ფ.), 20.15 — მუსიკალური ფილმი, 21.00 — დოკუმენტური ფილმი „მარადიული ჩრდილოეთი“ (ფ.), 22.00 — კონცერტი.

11 მარტი

პირველი პროგრამით. 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — დოკუმენტური ფილმი „ახალგაზრდა ტაიგა“. **10.00 — რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, მიძღვნილი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისთვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის გადაცემისადმი.** ტრანსლაცია საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზიდან (ფ.), 18.00 — **საზეიმო კონცერტი რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მონაწილეთათვის.** ტრანსლაცია საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზიდან (ფ.), 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „წელი-1978“, 21.15 — „მოამბე“, საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 21.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — ამბების სპეციალური გადაცემა (ფ.),

მეორე პროგრამით. 18.00 — მასწავლებლის საათი — გეომეტრია (ფ.), 18.45 — განცხადებები (ფ.), 18.50 — კინონარკვევი, 19.00 — მეათე კლასელთათვის — ფიზიკა (ფ.), 19.45 — ქართული მხატვრული ფილმი „ქვიშანი დარჩებიან“ (ფ.), 21.20 — დოკუმენტური ფილმი.

ტელევიზია

3 მარტი

პირველი პროგრამით

09.00 — „ვრემია“ —საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.35 — დოკუმენტური ფილმი „რესპუბლიკა ბაიკალს იქით“ (ფ.), 10.25 — „თქვენთვის, მშობლებო! (მ.), 10.55 — შევისწავლოთ ქართული ენა (ფ.), 11.25 — „დილის ფოსტა“ მუსიკალური პროგრამა (მ.), 11.55 — ბავშვის საერთაშორისო წელი — მხატვრული ფილმი „ასი დღე ბავშვობის შემდეგ“ (ფ.), 13.25 — „ჯანმრთელობა“ — სატელევიზიო პროგრამა (ფ.), 13.55 — მულტიპლიკაციური ფილმი, 14.15 — ბავშვებისათვის — „ჯადოსნური საღებავი“ (ფ), 14.40 — „ახალგაზრდობა“ — სატელევიზიო პროგრამა, 15.25 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი, „მიწისქვეშა სასახლე“ (ფ.),15.45 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 16.30 — მოსწავლეთათვის ლიტერატურული გადაცემა — „ი. გონჩაროვი“, (ფ.), 17.10 — სატელევიზიო მისალების ფოსტა, 17.25 — საესტრადო კონცერტი (ფ.), 18.00 — სსრ კავშირის თასზე ფეხბურთში: „დინამო“ (თბილისი) — „ზარია“ (ვოროშილოვგრადი), შესვენების დროს — მულტიპლიკაციური ფილმი, 19.45 — „რჩეულს ხმას აძლევს ხალხი მშობელი“, 20.25 — „საბჭოთა აფხაზეთი“, 21.15 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 21.45 — მულტიპლიკაციური ფილმი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — „კინოპანორამა“ (მ.).

მეორე პროგრამით

17.00 — დოკუმენტური ფილმი „გზის ჰორიზონტები“ (ფ.), 18.00 — მულტიპლიკაციური ფილმები, 18.45 — მხატვრული ფილმი „ყუბანელი კაზაკები“. (ფ.), 20.20 — კინონარკვევი, 21.00 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მღერის ლამარა ჭყონია“.

თეატრი

3 მარტი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ქეთო და კოტე (მე-19 აბონ. I წარმოდგენა); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — მე, ბებია, ილიკო და ილარიონი; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ბუდე მეცხრე სართულზე; ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — სიყვარულის მგზავრი ვარ...; მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო—ემბაკეს კუდი...

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 13487 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16